ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 17 დეკემბერი, 2015 №296 (6916) ფასი: 50 თეთრი

სოსო შაჭბერაშვილი: „პოლიტპატიმრების სია გაბერილია“

გვ.4

აკაკი ელისაშვილი:

„2014 წლის 30 აპრილს,14:30 საათზე, 591-ის აბონენტისგან, ზედიზედ 4 ისტერიული მესიჯი მომივიდა“

გვ.2

დეპუტატმა სატელეფონო ამონაწერი გაასაჯაროვა

მანანა კობახიძე:

„მარგველაშვილმა ჩვენება უნდა მისცეს“

გვ.2

„თუ ინფორმაცია დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა, პრეზიდენტს ჰქონდა პირდაპირი ვალდებულება, რეაგირება მოეხდინა“

ლალი აფციაური: „220 კგ კოკაინი თვალით არავის უნახავს“

გვ.5

„კოკაინის საქმეში მსჯავრდებულები თუ მართლა დამნაშავეები აღმოჩნდებიან, ადვოკატობიდან წავალ“

ელისაშვილი სიზმარაა, კოჟორიძე — სიზმრების ამხსნელი

გვ.5



თამაზ მეჭიაური: „აკო მინაშვილის მოთხოვნით პარლამენტი არავინ უნდა დატოვოს“

საკაშვილი კიევში ახალი მაიდნის მოწყობით იმუქრება

გვ.3

ია მეტრეველი: „პირი გამოირეცხონ, როცა ჩემს გვარსა და სახელს ამბობენ“

გვ.4

ნორა კვიციანი: „რატომ არ მაძლევთ პოლიტპატიმრის სტატუსს?“

გვ.3

ISSN 1987-9385

ალეკო ელისაშვილი: „2014 წლის 30 აპრილს,14:30 საათზე, 591-ის აბონენტისგან, ზედიზედ 4 ისტერიული მესიჯი მომივიდა“

დეპუტატმა სატელეფონო ამონაწერი გაასაჯაროვა

გუშინ, 16 დეკემბერს, საღამოს ალეკო ელისაშვილმა სატელეფონო ამონაწერი გაასაჯაროვა.

მისი განცხადებით, მის ტელეფონზე შეტყობინება მაგთის ქსელის აბონენტისგან შევიდა.

როგორც ალეკო ელისაშვილმა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში განაცხადა, მის ტელეფონზე შეტყობინება 591-ის აბონენტისგან მივიდა. ელისაშვილი ამ ეტაპზე ტელეფონის ნომერსა და მისი მფლობელის ვინაობას არ ასაჯაროვებს.

მან სატელეფონო ამონაწერი წარმოადგინა, სადაც, მისი თქმით, აღნიშნული შეტყობინებების არსებობაა დაფიქსირებული.

– 2014 წლის 30 აპრილს, 14:30 საათზე, ზედიზედ ოთხი სმს შემოვიდა, სადაც კატეგორიულ-ისტერიულ ტონში იყო მოთხოვნა, რომ ეს საკითხი განსაკუთრებულად გამეტანა. ამ ადამიანს მე ორსაათნახევრის შემდეგ ვუპასუხე. ეს ის ორსაათნახევარია, როდესაც ეს შეტყობინება პრეზიდენტს და ადმინისტრაციის უფროსს შევუტანე, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

მან თქვა, რომ ამ ყველაფერზე მას ოფიციალური პასუხი სურს.

– ამ ამონაწერს მივუტან პროკურატურას, ეს ჯერ არ იციან, შემდეგ ამ პასუხის მიხედვითაც რაღაცეებს ვაჩვენებ. რომც წაშალონ, მაინც დავუდასტურებ, რომ მოკლეტექსტური შეტყობინება მოვიდა, – განაცხადა ელისაშვილმა.

მისივე თქმით, ამ მესიჯებში დაფიქსირებულია, რომელ საქმეზეა საუბარი და კონკრეტული გვარებიც არის დასახელებული.

◆ ◆ ◆

ამ განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე ალეკო ელისაშვილმა განაცხადა, რომ პროკურატურას შეწყალების საქმეზე მტკიცებულებებს ნელ-ნელა გამოუზოგავს.

ალეკო ელისაშვილი:

– ნელ-ნელა მინდა გამოვუზოგო პროკურატურას რაღაცები. ვიცი, რასაც აპირებს, თუმცა სხვა რაღაცებით გავხლართავ პროკურატურას, რომლისგანაც საქმის ჩაფარცხვის მცდელობას აქვს ადგილი.

ელისაშვილმა ასევე დაადასტურა, რომ მისი ტელეფონის ინბოქსში მაღალჩინოსნების მიერ გაგზავნილი მესიჯები არ იყო, თუმცა, მისი მტკიცებით, შეტყობინებები მობილურის მყარ დისკზე ინახება.

ალეკო ელისაშვილი:

– საინტერესოა, ექსპერტიზის დასკვნის დადებამდე რატომ გაასაჯაროვა პროკურატურამ ინფორმაცია, რომ ტელეფონში მესიჯები არ იყო? ვიზუალური დათვალიერების დროს ტელეფონის ინბოქსში მესიჯები არ იყო, თუმცა მყარ დისკზე ინახება. იმიტომ დავტოვე ჩემი ტელეფონი, რომ ჩაეტარებინათ ექსპერტიზა.

მას უკვირს, რატომ იჩქარა პროკურატურამ და გამოძიების დასრულებამდე რატომ თქვა, რომ იქ მესიჯები არ იყო.

– მე მაინტერესებს ექსპერტიზის ოფიციალური დასკვნა და არა ვიღაც გაცისკროვნებული ყმაწვილის განცხადება, – აღნიშნა საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა.

ალეკო ელისაშვილი პროკურატურას პოლიტიკურ მოთამაშედ მიიჩნევს და ამბობს, რომ მესიჯები წააკითხა როგორც პრეზიდენტს, ისე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს და შეწყალების კომისიის მოქმედ ხელმძღვანელ ზვიად ქორიძეს.

ამის შესახებ ალეკო ელისაშვილმა გადაცემა „არჩევანში“ 15 დეკემბერს განაცხადა.

– როგორ ვენდო პროკურატურას, რომელსაც ჩემი ხელით მივუტანე გუშინ ტელეფონი, შვიდი საათის განმავლობაში ვიჯექი და დეტალურ ჩვენებას ვაძლევდი, პროკურორმა და მე დავლუქეთ ჩემი ტელეფონი, რომ გადაგზავნილიყო ექსპერტიზაზე და წარმოჩენილიყო ეს მესიჯები და ამ დროს ვისმენ, რომ პროკურატურამ ექსპერტიზის დასკვნის გარეშე განაცხადა, რომ ეს მესიჯები ტელეფონში არ არის. ეს შეტყობინებები წავაკითხე პრეზიდენტს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და შეწყალების კომისიის ხელმძღვანელ ზვიად ქორიძეს.

დეპუტატი ამბობს, რომ დღევანდელი ხელისუფლება იმეორებს წინა ხელისუფლების შეცდომებს.

– ისინი იქცევიან ზუსტად ისე, როგორც წინა ხელისუფლება იქცეოდა გირგვლიანის გახმაურებულ საქმეზე. ხუთი, ათი, ორმაცდაათი წელიც რომ დამჭირდეს, ციხეშიც რომ წავიდე, გამოვალ და ჩემს სიმართლეს მაინც დავამტკიცებ, – განაცხადა დეპუტატმა.

ალეკო ელისაშვილი პროკურატურაში უკვე ორჯერ დაკითხეს. პროკურატურის განცხადებით, ალეკო ელისაშვილის ტელეფონში მის მიერ დასახელებული მაღალჩინოსნების მოკლეტექსტური შეტყობინებები არ აღმოჩნდა და მობილური ტელეფონი სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში გაიგზავნა.

მანანა კობახიძე: „მარგველაშვილმა ჩვენება უნდა მისცეს“

პარლამენტის ვიცე-სპიკერის, მანანა კობახიძის განმარტებით, თუკი ქვეყანაში მაღალი თანამდებობის პირები კორუფციულ საქმიანობას ჩადიან და ეს პრეზიდენტმა იცის, მან ამაზე მყისიერი რეაგირება უნდა მოახდინოს.

როგორც კობახიძემ გუშინ, 16 დეკემბერს, ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ელისაშვილის საქმესთან დაკავშირებით პრეზიდენტმა გამოძიებას მის ხელთ არსებული ინფორმაცია უნდა მიაწოდოს.

– პრეზიდენტმა ჩვენება უნდა მისცეს, რადგან, როგორც ელისაშვილი აცხადებს, მას ჰქონდა ინფორმაცია ჩანაწერების შესახებ, რომელიც ელისაშვილთან იგზავნებოდა. თუ ეს ინფორმაცია დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა, პრეზიდენტს ჰქონდა პირდაპირი ვალდებულება, რეაგირება მოეხდინა მასზე და თუ ეს რეაგირება ვერ განახორციელა ან არ განახორციელა, ესეც გასარკვევია, – განაცხადა მანანა კობახიძემ.

„თუ ინფორმაცია დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა, პრეზიდენტს ჰქონდა პირდაპირი ვალდებულება, რეაგირება მოეხდინა“

დეპუტატი განმარტავს, რომ კონსტიტუციის დაცვის გარანტი არის პრეზიდენტი და თუ პრეზიდენტს აქვს იმის შესახებ ინფორმაცია, რომ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები ორგანიზებულ დანაშაულს ჩადიან, ამაზე რეაგირება მყისიერად უნდა მოხდეს.

– ვფიქრობ, პრეზიდენტს აქვს რაღაც სათქმელი გამოძიებისთვის, – აღნიშნა პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა.

მისი თქმით, ყურში ჩურჩულით და ზეპირად ინფორმაციის მიწოდებით არავინ უნდა კმაყოფილდებოდეს.

– თუ ქვეყანაში მაღალი თანამდებობის პირები კორუფციულ, ორგანიზებულ დანაშაულს ჩადიოდნენ და მათ შორის ადამიანი, რომელიც არაერთგზის ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას, პრეზიდენტს ამაზე უნდა მოეხდინა რეაგირება. თუკი ეს ადამიანი კორუფციულ საქმიანობას ისევ აგრძელებს და პრეზიდენტი ვერ რეაგირებს, ეს ძალიან დიდი სირცხვილია ქვეყნის და ამ ინსტიტუტის. ამიტომ პრეზიდენტმა უნდა ბრძანოს, რა ინფორმაცია ჰქონდა, – განაცხადა მანანა კობახიძემ.

შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ, ალეკო ელისაშვილმა, გუშინწინ, 15 დეკემბერს, პრეზიდენტს თხოვნით მიმართა, დაადასტუროს ან უარყოს, წააკითხა თუ არა მას მესიჯები.

მოგვიანებით ელისაშვილის თხოვნას ადამიანის უფლებათა საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა კახა კოჟორიძემ უპასუხა. მისი თქმით, გიორგი მარგველაშვილი ადასტურებს, რომ ალეკო ელისაშვილმა მას მესიჯები წააკითხა.

თეა წულუკიანი: „ბიძინა ივანიშვილი წინასაარჩევნო პროცესში იქნება კოალიციასთან ერთად“

– კოალიციის დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა ბევრჯერ თქვა და გუშინაც გაიმეორა, რომ წინასაარჩევნო პროცესში იქნება კოალიციასთან ერთად, – ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს შესაბამის საკითხზე კომენტირებისას, ბათუმში განუცხადა.

როგორც თეა წულუკიანმა განმარტა, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნებას და რაიმე თანამდებობის დაკავებას არ აპირებს.

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიას, იუსტიციის მინისტრის თქმით, სიას არ იცნობს, თუმცა მისი ოცნებაა, რომ ყოველ ხუთ კანდიდატში ორი ქალი იყოს.

თეა წულუკიანი:

– ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში არ აპირებს დაბრუნებას რაიმე თანამდებობაზე, მაგრამ ის წინასაარჩევნო პროცესებში იქნება პოლიტიკური პარტიების გვერდით, რომლებიც არიან კოალიციის ნაწილი.

ჩემთვის არ არის „ქართული ოცნების“ კოალიციის საარჩევნო სია ცნობილი. როდესაც იქნება სია ცნობილი, მე დიდი იმედი მაქვს, რომ ამ სიაში მინიმუმ ორი ქალი მაინც იქნება ყოველ ხუთ კანდიდატში. ეს არის ჩემი ძალიან დიდი „ქართული ოცნება.

ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში საპარლამენტო უმრავლესობის სხდომას დაესწრო. როგორც სხდომის შემდეგ მმართველი გუნდის წევრებმა განაცხადეს, ყოფილი პრემიერი „ქართული ოცნების“ პარტიულ და კოალიციურ ღონისძიებებში აქტიურად ჩაერთვება.

ინტერპრესნიუსი

ვანო მაჭავარიანი: „ელისაშვილი რასაც საუბრობს, ამას რეალური საფუძველი აქვს“

პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი, ვანო მაჭავარიანი, შეწყალების პროცესში მაღალი თანამდებობის პირების საეჭვო აქტიურობის შესახებ საუბარობს და პრეზიდეტის ადმინისტრაციაში მუშაობის პერიოდს იხსენებს.

მაჭავარიანი ადასტურებს, რომ პრეზიდენტი საკითხზე ინფორმირებული იყო და გამოთქვამდა ეჭვს იმ პირების მაღალი ჩართულობის გამო, ვინც დღეს მისივე თქმით თავს იმართლებს.

– პრეზიდენტთან მუშაობის დროს მე მსმენია იმ გადაჭარბებული, ზედმეტი აქტიურობისა იმ პიროვნებებისგან, რომელიც დღეს თავის მართლების რეჟიმში იმყოფება, როგორც პრეზიდენტისაგან, ისევე ადმინსტრაციის უფროსისგან, ვფიქრობ, ეს იყო საკმაოდ შემაწუხებელი.

ელისაშვილი რასაც საუბრობს, ამას რეალური საფუძველი აქვს, – განაცხადა ვანო მაჭავარიანმა.

პირველი რადიო

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სააკაშვილი კიევში ახალი მაიდნის მოწყობით იმუქრება

შორენა მარსაგიშვილი

უკრაინაში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. პრემიერთან და შს მინისტრთან ჩხუბის შემდეგ ოდესის ოლქის გუბერნატორმა, მიხეილ სააკაშვილმა, საგანგებო განცხადება გააკეთა.

მან განსაკუთრებული აქცენტი პრემიერ იაცენიუკის ფრაზაზე „წაეთრიე ჩემი ქვეყნიდან, გასტროლიორო!“ გააკეთა. ის აცხადებს, რომ სიამაყით ატარებს უკრაინის მოქალაქის პასპორტს, ასევე იმ ქართველებზე ლაპარაკობს, რომლებიც უკრაინის თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაეცნენ.

– მე პრემიერ-მინისტრმა გასტროლიორი მიწოდა. გუშინ კიდევ ერთი ქართველი დაიღუპა – ის ნაღმზე აფეთქდა. ადრე, სხვადასხვა ადგილასაც დაიღუპნენ. დღეს ქართველი ოფიცრები, რომლებიც არ ითხოვენ არც ფულს, არც პრივილეგიებს, იბრძვიან უკრაინისთვის. მაინტერესებს, ისინიც გასტროლიორები არიან თქვენს თვალში? გასტროლიორები იყვნენ დავით ყიფიანი და ზურაბ ხურცია, რომლებიც მაიდანზე დაიღუპნენ? – ეკითხება ნაპრეზიდენტალი პრემიერს.

სააკაშვილის განცხადებიდან მოკლე ხანში საგანგებო განცხადება გაავრცელეს უკრაინაში მყოფმა ქართველმა მებრძოლებმა. მათი განცხადების ადრესატი შს მინისტრი არსენ ავაქოვი იყო. იაცენიუკისა არ იყოს, სააკაშვილს გასტროლიორი შს მინისტრმაც უწოდა. ქართველ მებრძოლებს აინტერესებთ, რატომ მიიჩნევს მათ ავაქოვი გასტროლიორებად.

უკრაინული მედიის ინფორმაციით კი, მიხეილ სააკაშვილი იაცენიუკს და ავაქოვს საპროტესტო აქციების მოწყობით დამუქრა. ის კიევში მხარდამჭერების ჩაყვანას რეგიონებიდან აპირებს.

ნაპრეზიდენტალი კიევში არეულობას რომ გეგმავს, ამ ინფორმაციას სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილიც ადასტურებს. „ახალ თაობასთან“ საუბარში ის აცხადებს, რომ ამის შესახებ ინფორმაცია მისმა უკრაინელმა კოლეგებმა მიაწოდეს.

– უკრაინაში სააკაშვილი სერიოზული არეულობის მოწყობას აპირებს. ადგილობრივი მოსახლეობა და ხელისუფლება კარგად მიხვდნენ, თუ რასაც წარმოადგენენ სინამდვილეში ეს ნაციონალები. ამ მხრივ გონება ავაქოვსა და იაცენიუკსაც გაუნათდათ. მათ გადაწყვიტეს, სააკაშვილი ხელისუფლებას საერთოდ ჩამოაცილონ. ის არაერთ დანაშაულში ამხილეს, შესაძლოა, დააპატიმრონ კიდეც, – აღნიშნავს წითელაშვილი.

მისი მტკიცებით, უკრაინის ხელისუფლებას უკვე საკმარისი სამხილები აქვს შეგროვებული.

– უკვე დადასტურებულია, რომ მან საბრძოლო მოქმედებებისთვის გამოყოფილი თანხები მიითვისა. შექმნეს რაღაც გაურკვეველი ფონდები, რომლებიც დაჭრილ მეომრებს უნდა დახმარებოდა. სინამდვილეში კი ეს თანხები გასტროლიორი ნაციონალების „გულაობაზე“ იხარჯება. ასევე ფარდა აეხადა იმ სქემასაც, რომლითაც სააკაშვილი და თემურ ალასანია იარაღით ვაჭრობენ. უკრაინა დასავლეთიდან შეიარაღებას ღებულობს. გასტროლიორი და მისი ბიძა ისე აკეთებენ, თითქოს ეს იარაღი საბრძოლო მოქმედებების ადგილზე მიდის. სინამდვილეში კი სხვა ქვეყნებში ყიდიან, – აცხადებს სამხედრო ექსპერტი.

მისი თქმით, უკრაინის ხელისუფლებას სერიოზული პრეტენზიები და ეჭვები აქვთ საქართველოდან ჩასულ ზონდერებთან დაკავშირებით. – უკრაინელი სამართალდამცავები დაინტერესდნენ იმ ბანდფორმირებით, რომელიც საკაშვილმა საქართველოდან ჩასული ზონდერებისგან დააკომპლექტა. ამ ფორმირებამ დაიწყო ბიზნესმენების გატაცება. გათავისუფლების საანაცვლოდ ისინი იძულებული არიან, სოლიდური თანხები გადაიხადონ. ეტყობა, ისინი ამის მოთმენას აღარ აპირებენ და უკვე დაიწყეს სასამართლოებში ჩივილი. ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერის იმედი რომ არ ჰქონდეთ, ისინი სარჩელის შეტანას ვერ გაბედავდნენ, – ამბობს წითელაშვილი.

წითელაშვილის განცხადებით, სააკაშვილი ნათლად აცნობიერებს იმ საფრთხეს, რაც მას ელოდება და სერიოზულ ავანტიურაზე აპირებს წასვლას.

– ის დაიმუქრა, რომ კიევში რეგიონებიდან ჩაიყვანს მხარდამჭერებს. ეს არის სიცრუე, მაგას რომელი რეგიონი დაუჭერს მხარს. კიევში ის მაიდნის მოწყობას საქართველოდან ჩაყვანილი ზონდერებით შეეცდება. მას ავანგარდში უკრაინელი ზონდერებიც ჰყავს. სააკაშვილის გვერდით დგანან ისლამური სახელმწიფოს ტერორისტები, რომლებიც სირიიდან გამოიქცნენ და უკრაინას შეაფარეს თავი. სააკაშვილი ხელისუფლებას ამ ბანდიტებით ემუქრება, – ამბობს სამხედრო ექსპერტი.

უკრაინის პრეზიდენტს მალე მოუწევს არჩევანის გაკეთება.

– პოროშენკოს აუცილებლად მოუწევს არჩევანის გაკეთება იაცენიუკ-ავაქოვსა და სააკაშვილს შორის. ის პრემიერისა და შს მინისტრის მხარეს დაიჭერს. სხვა თუ არაფერი, ამ ადამიანებს ხელში უჭირავთ ოდესის გუბერნატორის დანაშაულის დამამტკიცებელი მასალები, – აღნიშნავს წითელაშვილი.

მისი აზრით, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს დიდ დარტყმას მიაყენებს დნეპრისპირეთის ყოფილი გუბერნატორი იგორ კოლომოისკი. ამ უკანასკნელმა ჩვენებურს 2 დღის წინ სასამართლო მოუგო.

– ახლა ის კაცი აუცილებლად მოითხოვს სააკაშვილის დასჯას, მას ოდესის ოლქის გუბერნატორზე სერიოზული კომპრომატები აქვს, რომლებიც არანაკლებ სერიოზულია, ვიდრე ავაქოვისა და იაცენიუკის ხელთ არსებული დოკუმენტები. პოროშენკო უბრალოდ იძულებული იქნება, სააკაშვილი გაუშვას, – მიიჩნევს სამხედრო ექსპერტი.

მისი მტკიცებით, აქამდე სააკაშვილს უკრაინაში მხოლოდ იმიტომ იტანდნენ, რომ ის ამერიკელების მხარდაჭერით სარგებლობდა.

– ახლა ოდესის გუბერნატორს ამერიკელების მხარდაჭერაც ვეღარ უშველის. მის წინააღმდეგ მარტო თანამდებობის პირები რომ ილაშქრებდნენ, მათ ვაშინგტონი მიხედავდა. ამ შემთხვევაში მოსახლეობაა უკმაყოფილო. აღშფოთებული ხალხის გაჩერება კი ძალიან გაუჭირდებათ, – აცხადებს წითელაშვილი.

სამხედრო ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ ოდესის გუბერნატორი პოროშენკოს და ამერიკელებს კომპრომატებით აშანტაჟებდეს.

– ალბათ ამიტომაც იყო, მატროსოვივით რომ იყვნენ სააკაშვილს გადაფარებული. ამ კომპრომატების წყალობით იტანდნენ მისი ბანდფორმირების თარეშსაც, – ვარაუდობს ექსპერტი.

ის დარწმუნებულია, რომ უკრაინაში ვითარება გამწვავდება და ამერიკა იძულებული გახდება, ოდესის მმართველი სადმე გადამალოს.

– უკრაინიდან რომ გააგდებენ, ეს ვიცი, მაგრამ სად წაიყვანენ, ეს ამერიკის მოსაფიქრებელია. მათ თავიანთი აგენტის ევაკუაცია მოუწევთ. ისინი სააკაშვილს ვეღარ აკონტროლებენ და მათაც ექმნებათ პრობლემა. ვაშინგტონს არ სურს მათი აგენტის სრული ლუსტრაცია და კიდევ ერთხელ შეფუთავენ ამ ადამიანს და სადმე სხვაგან გადაიყვანენ, – აცხადებს წითელაშვილი

ნორა კვიციანი: „რატომ არ მაძლევთ პოლიტპატიმრის სტატუსს?“

შორენა მარსაგიშვილი

ნორა კვიციანი კვლავ სამართლიანობის აღდგენას ითხოვს. ამჯერად ის პოლიტპატიმრის სტატუსისთვის იბრძვის, რომელიც მხოლოდ იმიტომ ვერ მიიღო, რომ ციხიდან ვადამდე ძალით გაათავისუფლეს.

– ხელისუფლება რომ შეიცვალა, 2 თვე მქონდა დარჩენილი სასჯელის ვადის ამოწურვამდე. არც ნაციონალების და არც „ქართული ოცნების“ პირობებში შეწყალების თხოვნა არ დამიწერია. „ქართული ოცნების“ წევრებმა ციხიდან სულ ძალით გამომიყვანეს, რისი დამადასტურებელი კადრებიც არსებობს. მარწმუნებდნენ, რომ ციხიდან თუ გამოვიდოდი, სხვა პატიმრებსაც დავეხმარებოდი, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ნორა კვიციანი.

მისი თქმით, მას „ქართულმა ოცნებამ“ პირობა მისცა, რომ პოლიტპატიმრის სტატუსსაც მისცემდნენ.

– არც მაშინ მინდოდა ციხიდან გამოსვლა და ახლა კიდევ უფრო ვნანობ ამას. ზუგდიდის კრიტის და ციხე გამოვლილს რა მრჯიდა, რომ სასჯელის ამოწურვამდე 2 თვით ადრე გამოვედი? დავრჩენილიყავი 2 თვეც და პოლიტპატიმრის სტატუსით გამოვიდოდი, – ამბობს კვიციანი.

მისი თქმით, მას პირობა მისცეს, რომ ისიც მოხვდებოდა პოლიტპატიმრების სიაში.

– ჩემ გარდა, კიდევ რამდენიმე ადამიანი დარჩა ამ სტატუსის გარეშე. ჩვენ გვითხრეს, რომ იმ ეტაპისთვის ჯერ იმ ადამიანებისთვის უნდა ეშველათ, რომლებიც იმ მომენტისთვის ციხეში იმყოფებოდნენ. ამის წინააღმდეგ როგორ წავიდოდით, თანაც დადგენილებაში შეტანილი იყო მუხლი, რომლის მიხედვითაც, ჩვენთვისაც უნდა მოენიჭებინათ ეს სტატუსი. შემდეგ ეს მუხლი სადღაც გაქრა, – აღნიშნავს ყოფილი პოლიტპატიმარი.

ნორა კვიციანის განმარტებით, ის დღემდე ცდილობს იმის გარკვევას, ვინ ამოაღებინა ხელისუფლებას ის მუხლი.

– როგორც ვიცი, ეკა ბესელია აქტიურად უჭერდა მხარს ჩვენთვის სტატუსის მინიჭებას, მაგრამ ვიღაცებმა მათზე ზეწოლა განახორციელეს და ეს მუხლი ამოაღებინეს. ეს ვიღაც, როგორც მეუბნებიან, ამერიკის ყოფილი ელჩი რიჩარდ ნორლანდია. მაინტერესებს, რა უფლებით ერევიან სხვები საქართველოს საშინაო საქმეებში. ანდა თუ უცხოელების სიტყვა მათთვის მნიშვნელოვანია, რატომ არ გაითვალისწინეს საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნა, რომლებმაც მე პოლიტპატიმრად მაღიარეს? – კითხულობს კვიციანი.

მას ელისაშვილის სკანდალი იმის იმედს აძლევს, რომ მათი საქმეების ხელახალი გადახედვა მოხდება.

– ამ ქვეყნისთვის რაღაც მეც მაქვს გაკეთებული. 13 წელი კბილებით ვიცავდი კოდორის ხეობას. კაცებთან ერთად მეკავა ხელში იარაღი და იმის ღირსი მაინც არა ვარ, სამართალი ვიპოვო?! – ამბობს ყოფილი პოლიტპატიმარი.

ყველაზე მეტი პრეტენზიები მას პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიმართ აქვს, რომელიც მას სამჯერ დაპირდა, სამართლის პოვნაში დაგეხმარებიო.

– საპრეზიდენტო არჩევნების წინ გიორგი მარგველაშვილი შეხვდა ვეტერანებს, მეც ომის ვეტერანი ვარ და მიმიწვიეს. მარგველაშვილს ჩემს საქმესთან დაკავშირებით კითხვა დავუსვი. პირობა მომცა, რომ ამას აუცილებლად მიხედავდა. ეს მან სამჯერ გამიმეორა. ამას მაშინდელი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და რამდენიმე გენერალი ესწრებოდა. მას შემდეგ 2 წელი გავიდა და არაფერი არ ისმის. იმასაც კი ვერ ვახერხებ, მის გარემოცვას დავუკავშირდე, – აღნიშნა კვიციანმა.

მისი თქმით, ბოლო ხანებში ის პრეზიდენტის მრჩეველსაც დაუკავშირდა, თუმცა არც ამან გამოიღო შედეგი.

– გამიხარდა, როცა მის მრჩეველად ფიქრია ჩიხრაძე დაინიშნა და მასთან დარეკვა გადავწყვიტე, ფიქრია კარგად მიცნობს. დავურეკე და არ მიპასუხა. მერე მესიჯი გავუგზავნე და ვუთხარი, ვინც ვიყავი. გადმომირეკა, ვისაუბრეთ. პრეზიდენტის პირობაზე ვუთხარი. დამპირდა, დაგირეკავო და დღემდე ველოდები მის ზარს, – ამბობს ყოფილი პოლიტპატიმარი.

„პრეზიდენტისგან განმარტებებს ვითხოვ“

როდესაც დააპატიმრეს, მას დიდი ჯარიმა დააკისრეს და რაკი ვერ გადაიხადა, კოდორში, სოფელ ჩხალთაში, სახლი დაუყადაღეს. კოდორი მოგვიანებით მოწინააღმდეგეს ჩააბარეს ნაციონალებმა, კვიციანისთვის კი ყადაღა არ მოუხსნიათ. ამის გამო შესაძლოა ყოფილ პოლიტპატიმარს პენსია დაუყადაღონ.

– ციხეში ისეთი საშინელებები გადავიტანე, მაგრამ შეწყალება არ მითხოვია. შეწყალება ამ ყადაღის მოხსნაზე ვითხოვე. მარგველაშვილმა მირჩია, რადგან სხვანაირად ვერ დამეხმარებოდა. ახლა ტელეფონზეც არ მპასუხობენ. მე გაჩერებას არ ვაპირებ და ჩემს სიმართლეს აუცილებლად დავამტკიცებ, – აღნიშნა კვიციანმა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ია მეტრეველი: „პირი გამოირეცხონ, როცა ჩემს გვარსა და სახელს ამბობენ“

ნონა ცაბაძე

შეწყალების კომისიის სკანდალი სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს. ჟურნალისტ ელისო კილაძის განცხადებით, პატიმრებს რეკომენდაციას გარდაცვლილი ბუტა რობაქიძის დედა, ია მეტრეველი, უწევდა ეკა ბესელიასთან. „ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხზე ია მეტრეველს ესაუბრა.

„ეს ყველაფერი ციხიდან იგეგმება“

– ქალბატონო ია, ამ სკანდალში თქვენმა სახელმა და გვარმაც გაიჟღერა. რა ხდება? როგორც ცნობილია, სხვებთან ერთად თქვენც მონაწილეობდით პოლიტპატიმართა სიების შედგენაში.

– ქალბატონი კილაძის სიტყვებზე ნამდვილად არ მინდა კომენტარის გაკეთება. მათ ჩემ წინააღმდეგ ტალახის სროლა გადაწყვიტეს. ჯერ მთელი საქართველო ხომ ამოსვარეს ამ სიბინძურეში. ცუდად ვარ უკვე, ამ ქალაქში ცხოვრება აღარ შეიძლება! ისეთი საზიზღრობა ტრიალებს! ეს ყველაფერი არის ლიგის მიერ დაგეგმილი, რომელსაც ციხიდან ხელმძღვანელობს ვაჟბატონი ფირცხალავა. სწორედ მათგან მომდინარეობს ყველაფერი. ჯერ ლიგამ გააკეთა განცხადება, შემდეგ კილაძემ გაიმეორა.

– ანუ მიზანმიმართული პროცესია?

– უკვე ნათლად გამოჩნდა, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკური ავანტიურაა ნაციონალების მხრიდან. წინასაარჩევნო პერიოდია და უკვე დაიწყეს თავიანთი ბრჭყალების გამოჩენა.

– ელისაშვილი ნაციონალების დაკვეთას ასრულებს?

– ელისაშვილი ნებსით თუ უნებლიეთ ჩართეს ამ საშინელებაში. მე დიდ პატივს ვცემდი ალეკოს და ძალიან მწყდება გული, რომ ბოლოს ის ასეთ ცუდ ვითარებაში აღმოჩნდა, ამ საზიზღარ ავანტიურაში. ნაციონალები ამას დღემდე ვერ ეგუებიან, ეს მათთვის მტკივნეული საკითხია.

– რას ვერ ეგუებიან?

– თავიდანვე დიდი შემოტევა იყო ამ კომისიაზე. მათ არ უნდოდათ ეღიარებინათ და მთელ მსოფლიოს დაენახა, რომ 200-ზე მეტი პოლიტპატიმარი ჰყავდა ქვეყანას. ბევრი მათგანი ჩვენ ვერც მოვასწარით, რომ სიაში შეგვეყვანა იმის გამო, რომ დრო იყო ძალიან ცოტა. მით უმეტეს, ისეთი ბრძოლა მიდიოდა ნაციონალებისგან, რომ იკარგებოდა ეს საბუთები, დასკვნები, ახლიდან გვიწევდა მოპოვება, ადვოკატების გამოძახება, მოკლედ, უმძიმესი პროცესი იყო.

– სერიოზული თანხების აღებაზეა საუბარი, ქალბატონო ია.

– ეს სრული სისულელეა! მე ეს ვერ წარმომიდგენია! ისეთი ენთუზიაზმი იყო ამ კომისიაში, რომ ხალხი გადაგვერჩინა და დროულად გამოგვეყვანა ციხიდან.

– ანუ ფული არავის აუღია?

– მე ვერ წარმომიდგენია, რომ კომისიაში ყოფილიყო თუნდაც ერთი ადამიანი, ისეთი ნაძირალა, რომ ასეთ საქმეში ფული აეღო. ეს ნაციონალების ჩვეულებრივი ავანტიურაა. პირი გამოირეცხონ, როცა ჩემს გვარსა და სახელს ასახელებენ. მე ერთადერთი შვილი წამართვა ნაციონალების კრიმინალურმა მთავრობამ! მე რეკომენდაციას დღესაც ვუწევ მილიონ ადამიანს და თუ რამე შემიძლია, ვეხმარები ნახევარ საქართველოს!

– კონკრეტულად რომელ პატიმარზე საუბრობდა ელისო კილაძე?

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლევან ფხაკაძეზეა საუბარი. ლევან ფხაკაძის ოჯახი როგორ ჰყავდათ განადგურებული ნაციონალებს, ეს ცნობილია. მე ამ ოჯახს მიტინგებიდან ვიცნობ.

– შევიდა პოლიტპატიმართა სიაში?

– დიახ, შევიდა, მაგრამ გაიარა მილიონი იურისტი, უამრავი ინსტანცია და ათასჯერ გაიარა კომისია ამ საქმემ. როდესაც კუკავას კომისიაზე გავიდა ეს ყველაფერი, თავისი დოკუმენტებით და თავისი მტკიცებულებებით და ექსპერტიზის დასკვნებით, ყველამ ჩათვალა, რომ ეს იყო პოლიტიკური პატიმარი.

– თქვენ საიდან იცნობდით მას?

– ჩემთან ქომაგში მოვიდა ეს ოჯახი. მე მათ ვიცნობდი მიტინგებიდან, მოყოლილი ჰქონდათ ჩემთვის, თუ რა მდგომარეობაში ჰყავდათ და რა გამოიარეს. ცოლი დაუჭრეს, ოჯახში შეუვარდნენ და დაჭრეს, შემდეგ ქუჩაში დახვდნენ და ლევანმა თავდაცვის მიზნით ესროლა. ეს ყველაფერი დეტალურად არის წარდგენილი იმ კომისიაზე.

– სხვასაც გაუწიეთ რეკომენდაცია?

– ეგეთი რეკომენდაცია მე მილიონ ადამიანზე მაქვს გაწეული! ვისაც ვთვლიდი, რომ უსამართლოდ ექცეოდნენ. მე ყველა გაჭირვებულს ვეხმარები! ეს არის ჩემი მისია! არ ვაპირებდი მაგ ქალის სიტყვებზე კომენტარის გაკეთებას, მაგრამ ვიმეორებ, ეს ყველაფერი ლიგიდან მოდის. თავისი ჭკუით, მათ ჩემზე შური იძიეს, ვინაიდან ფირცხალავას წინააღმდეგ პირდაპირ ეთერში გამოვედი.

– ანუ ეს ყველაფერი ციხეში იგეგმება?

– დიახ, ამ იდეებს ფირცხალავა აწვდის ციხიდან. მოსამართლეს რომ თანხის აღება დააბრალეს და ცილი დასწამეს, ესეც მათგან მოდიოდა.

– სერიოზული ბრალდებებია, რით დასრულდება ეს ყველაფერი?

– გამოძიება მიმდინარეობს, დაველოდოთ. ბრალდებები ერთია, მტკიცებულება – მეორე. ასეთ ბრალდებას როცა უყენებ ადამიანს, ის უნდა დამტკიცდეს რაღაცით. ყველა დაინტერესებულია, რომ გამოძიებამ ბოლომდე მიიყვანოს საქმე. მალე გამოჩნდება, რა ხდება სინამდვილეში. ჩვენ ყველანი ვიბრძოდით, რომ ხალხი გადაგვერჩინა და ციხიდან გამოგვეყვანა და მე ვერ წარმოვიდგენ, რომ იმ კომისიის რომელიმე წევრმა რამეში ფული აიღო!

სოსო შატბერაშვილი: „პოლიტპატიმრების სია გაბერილია“

მარიამ მჭედლიშვილი

მემარცხენე ალიანსის გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ შეწყალების საკითხების გარშემო ატეხილი სკანდალი გასაკვირი არ არის.



„მომავალი პარლამენტი მრავალპარტიული იქნება, მთავრობა კი – კოალიციური“

– დეტალები, ალბათ, გაირკვევა. ნამდვილად ვერ დავადებ ხელს ალეკო ელისაშვილის მიერ დასახელებულ მანანა კობახიძესა და ეკა ბესელიას. ჩვენს პარტიაში ასეთი მოსაზრებაა – შეწყალებებისა და ამნისტიების დროს საქართველოში მუდმივად ვიღაცები ითბობდნენ ხელს, – აღნიშნა სოსო შატბერაშვილმა.

– ანუ კორუფციული გარიგებების ნიშნები იყო წინა ხელისუფლების დროსაც?

– რა თქმა უნდა. სააკაშვილის რეჟიმი ბარბაროსული და დანაშაულებრივი იყო, მაგრამ როცა დასჭირდებოდა, ამნისტიას ისიც აცხადებდა. ისეთი ფართომასშტაბიანი ამნისტიების მოწმენი გავხდით, თითქოს ეს ხელისუფლება წინას ეჯიბრებოდა ამ საქმეში. ზოგიერთი ციხეში ტყუილად იჯდა. ზოგ პატიმარს 15-დღიანი პატიმრობის ნაცვლად, 4 წელიწადი ჰქონდა მისჯილი. ამნისტია ასეთებს უნდა შეხებოდა და არა მძიმე დანაშაულის ჩამდენებს. ამნისტირებულებიდან ბევრმა დანაშაულიც ჩაიდინა. სააკაშვილის რეჟიმს ჰყავდა პოლიტიკური პატიმრები, პოლიტიკური დევნილები, მაგრამ მათი რაოდენობა და სიები გაბერილია.

– ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს ამ დღეებში კიდევ ერთხელ მიეცათ საბაბი ეთქვათ, რომ მათი მმართველობისას პოლიტპატიმრები არ ყოფილან.

– როგორ არ ყოფილან! სხვებს რომ თავი დავანებოთ, აბა, სულხან მოლაშვილი ვინ იყო? მას პატიმრობა არ აკმარეს და არაადამიანურად აწამეს. ისე დააინვალიდეს საღსალამათი ახალგაზრდა კაცი, რომ ისევ რეაბილიტაცია სჭირდება. ზაზა დავითაია ნამდვილი პოლიტიკური პატიმარი იყო. სიმონ კილაძეს ჯაშუშობა დაუბრალეს. მისი „დანაშაული“ იმაში მდგომარეობდა, რომ გაზეთებიდან სტატიებს კრეფდა და ანგარიშს აკეთებდა. აღარაფერს ვამბობ პოლიტიკურ მკვლელობებზე.

– პოლიტიკურ მკვლელობებში რას გულისხმობთ?

– ამაზე ბევრი საუბარი შეიძლება. მაგალითისთვის საკმარისია ზურაბ ჟვანიას საქმის დასახელება. რა, აფრასიძეების ამოხოცვა ან გირგვლიანის მკვლელობა პოლიტიკური მკვლელობები არ იყო?

– თქვენი აზრით, პოლიტპატიმართა სიები გაბერილია?

– პოლიტპატიმრები სააკაშვილს ჰყავდა, ოღონდ არა ამ რაოდენობით. შეწყალებაც და ამნისტიაც არ მიმდინარეობდა კორუფციული ელემენტების გარეშე. შეიძლება ალეკო ელისაშვილმაც იცის რაღაც. გაუგებარია, რატომ დუმდა ის ამდენ ხანს? რატომ გააქტიურდა ელისაშვილი მაინცდამაინც ახლა? ამაზე ჩვენ, მემარცხენე ალიანსს ჩვენი მოსაზრებები გვაქვს, თუმცა ცილისწამება რომ არ დაგვაბრალონ, ამაზე არ ვისაუბრებ.

– ამ საქმეზე გამოძიებაც ხომ მიმდინარეობს?

– გამოძიებისა მაინცდამაინც არ გვჯერა.

– იმოქმედებს თუ არა ეს მოვლენები პოლიტიკურ პროცესებზე?

– რასაკვირველია. ახლოვდება არჩევნები. ნაციონალურ მოძრაობას უნდა, ყველაფერი გამოიყენოს საკუთარი ინტერესებისათვის, ანუ სიტუაციის ასარევად. ქვეყანაში ხელისუფლება უნდა შეიცვალოს მშვიდობიანად და არჩევნების გზით. დარწმუნებული ვარ, რომ თუ არჩევნები ნორმალურად ჩატარდა, მომავალი პარლამენტი მრავალპარტიული იქნება.

ახლანდელი კონსტიტუციით, პარლამენტს დიდი ფუნქცია და პასუხისმგებლობა აკისრია. პარლამენტში უნდა იყვნენ წარმოდგენილი სალომე ზურაბიშვილის, ჯონდი ბაღათურიას, ირმა ინაშვილის, ჩვენი ორგანიზაცია, სხვა პარტიები. ბუნებრივია, ბარიერს გადალახავს „ქართული ოცნებაც“. ნაციონალების ადგილი კი იქ არ არის.

პაატა ბურჭულაძე: „რუსეთის აგრესიას, რომელიც საქართველოშია, გამართლება არ აქვს“

„საქართველოს განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელი პატა ბურჭულაძე ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიპლომატებს შეხვდა.

პაატა ბურჭულაძემ შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა ფონდის პოლიტიკურ მომავალს შეეხო.

ფონდის ხელმძღვანელი არ გამორიცხავს, რომ ის მომავალში პოლიტიკაში მოვიდეს, თუმცა ამბობს, რომ ამ ეტაპზე ის მხოლოდ ფონდის საქმიანობითაა დაკავებული.

– ეს არის ფონდი, რომელიც შეისწავლის მის ღირებულებებს და წინსვლის საქმეს. თუ გადაიქცევა ეს პარტიად, მე ვერაფერს ვერ გეტყვით. ეს შესაძლებელია, მაგრამ დღეს ეს არის ფონდი, – განაცხადა ბურჭულაძემ.

ბურჭულაძემ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოსთვის ევროპული კურსი უალტერნატივოა.

პაატა ბურჭულაძე:

– ჩვენი ერთადერი გზა არის ევროპა, ამას მე ხაზს ვუსვამ. რუსეთის აგრესიას, რომელიც დღეს საქართველოშია, გამართლება არ აქვს. ის ოკუპანტია და თანაც

როგორი ოკუპანტი, ჩვენი ტერიტორიების 20% არის ოკუპრებული.

ნიუსპრესი

ბესიკ ხარძიანის მკვლელობის საქმე გახსნილია

მოკლული ბიზნესმენის, ბესიკ ხარძიანის მკვლელობის საქმე გახსნილია, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ხარძიანის ოჯახის ადვოკატმა, მალხაზ სალაყაიამ განუცხადა.

ადვოკატის ინფორმაციით, დადგენილია მკვლელის ვინაობაც, თუმცა ის ჯერჯერობით დაკავებული არ არის.

მალხაზ სალაყაიამ დააკონკრეტა, რომ ხარძიანის მკვლელის ვინაობა არც მისთვის და არც მოკლულის ოჯახისთვის ცნობილი არ არის.

ამასთან, ადვოკატის ვარაუდით, საქმე სასამართლოში წლის ბოლომდე, სავარაუდოდ, „არ წავა“.

ბესიკ ხარძიანი მიმდინარე წლის 28 მარტს მარაბდის ქუჩაზე, საკუთარ სახლთან მოკლეს. გავრცელებული ინფორმაციით, მკვლელობა, სავარაუდოდ, ჩეჩნური წარმოშობის უკრაინის მოქალაქემ ჩაიდინა, რომელიც მარაბდის ქუჩაზე მოპედით იმყოფებოდა. მოპედი და ჩაფხუტი მკვლელობიდან მალევე, კეკელიძის ქუჩაზე აღმოაჩინეს.

ინტერპრესნიუსი

ლალი აფციაური: „220 კგ კოკაინი თვალით არავის უნახავს“

ნონა ცაბაძე

„კოკაინის საქმეში მსჯავრდებულები თუ მართლა დამნაშავეები აღმოჩნდებიან, ადვოკატობიდან წავალ“

კოკაინის გახმაურებული საქმე, ალეკო ელისაშვილის განცხადებების შემდეგ, საზოგადოების ინტერესის ქვეშ კიდევ ერთხელ მოექცა. ამ სკანდალში ეკა ბესელია და მანანა კობახიძეც გაეხვნენ.

შეგახსენებთ საქმის დეტალებს.

2010 წლის 2 იანვარს პოლიციამ დააკავა საერთაშორისო ნარკოკარტელის ხუთი წევრი: ანასტასია ზაუტაშვილი, მევლუდ სვანიძე, რომან მუსემიანი, გიორგი ჩეჩელაშვილი და თენგიზ გურჩიანი. პოლიციის ცნობით, საბერძნეთის მოქალაქე და ესპანეთში მცხოვრები ნუგზარ ბოჭორიშვილი ამ ჯგუფს რეგულარულად უგზავნიდა ჯართს პანამიდან, პერუდან და კოლუმბიიდან, ტვირთში კი გადამალული იყო კოკაინის დიდი პარტიები.

ჯგუფის წევრებს სასამართლომ 30-30 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ბოჭორიშვილს კი განაჩენი დაუსწრებლად წარუდგინეს და უვადო პატიმრობა მიუსაჯეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ნუგზარ ბოჭორიშვილი 2012 წელს შეეცადა, რომ მისი მეგობარი ქალი, ანასტასია ზაუტაშვილი, პოლიტპატიმართა სიაში ჩაესვათ და ის ამისთვის ეკა ბესელიას და მანანა კობახიძეს დაუკავშირდა.

„ახალი თაობა“ კოკაინის გახმაურებული საქმის ადვოკატ ლალი აფციაურს ესაუბრა.

– ეს სკანდალი რატომ აგორდა, ამაზე ვერაფერს გეტყვით. რაც შეეხება კონკრეტულ საქმეს, ჩვენ ამ საქმეზე პირველი დღიდან მოყოლებული ვაგრძელებთ ბრძოლას. ამ ოთხი წლის მანძილზე მუდმივი საჩივრების მდგომარეობაში ვართ, მუდმივი განცხადებების მდგომარეობაში ვართ, რომ გადაიხედოს ეს საქმე, – განაცხადა ლალი აფციაურმა.

– რატომ, უდანაშაულოები არიან ეს პირები?

– იმიტომ, რომ 220 კილოგრამი კოკაინი თვალით არავის უნახავს. ასეთი ფაბულა აქვს ამ საქმეს, რომ ვითომ 2009 წელს ნუგზარ ბოჭორიშვილი ჩავიდა კოლუმბიაში, მოელაპარაკა ნარკოდილერებს, რომ საქართველოს გავლით, თურქეთში წაიღებდა 220 კილოგრამ კოკაინს. თითქოსდა შედგა ეს მოლაპარაკება და ბოჭორიშვილმა წამოიღო საქართველოს გავლით და თურქეთში ჩაიტანა 220 კილოგრამი კოკაინი, რომელიც თვალით არავის უნახავს.

– ჯართში იყო დამალული ეს ნარკოტიკიო.

– მოგეხსენებათ, ყველგან როგორი მკაცრი კონტროლია ნარკოტიკებთან დაკავშირებით. ყველა სასაზღვრო ზოლში დგას ძვირადღირებული აპარატურა, რომელიც ეძებს და ამოწმებს, არის თუ არა ესა თუ ის ნარკოტიკული ნივთიერება სადმე გადამალული და ყველა ვარიანტში პოულობს. თურმე შემოსულა საქართველოში და აქედან ისე გასულა, რომ 2010 წლამდე ვერავინ ვერაფერი გაიგო. ხოლო 2010 წელს თურმე, როცა მთელი „ოპერაცია“ დასრულებული იყო, ვანო მერაბიშვილმა მერე გახსნა ეს საქმე.

– თქვენ ამ ყველა ბრალდებას უარყოფთ?

– არც 220 კილო კოკაინი უნახავს ვინმეს თვალით, არც უცხო ქვეყნები ადასტურებენ, რომ მათ ქვეყანაში გამოიარა ამ კოკაინმა. უფრო მეტსაც გეტყვით, თვითონ ბრალდების მხარეს აქვს საქმეში ერთი დოკუმენტი, ერთი ფურცელი შემთხვევით ჩარჩათ.

– რა დოკუმენტია?

– ქართველი სამართალდამცავები კოლუმბიელ კოლეგებს უსვამენ კითხვას, ბოჭორიშვილი 2009 წელში იყო თუ არა კოლუმბიაში, ან პანამაში და პასუხი ასეთია, რომ არამცთუ 2009 წელში, საერთოდ არ არის ეს კაცი აქ ნამყოფიო. აი, ასეთია ფაბულა.

– საუბარია, რომ ბოჭორიშვილმა 200 ათასი გადაიხადა და ამ სკანდალში ბესელია და კობახიძე გაეხვნენ. ამაზე რას იტყვით?

– სად გადაიხადა?! ვინ ნახა ეს გადახდილი თანხა?! არის ასეთი მტკიცებულება?! ბოჭორიშვილი ამბობს, რომ არავისთვის თანხა არ გადაუხდია. ეს პირდაპირ ეთერში განაცხადა. ამას უარყოფენ თავად მსჯავრდებულებიც. ჩვენ ამ საქმესთან დაკავშირებით მუდმივი საჩივრების შეტანის პროცესში ვართ. პროკურატურაში შედის და შედის ჩემი საჩივრები. ასევე საქმეების შემსწავლელი კომისია რომ შეიქმნა, იქაც შევიტანეთ განცხადება, თუკი სადმე შეიძლება, რომ შევიტანოთ, ყველგან შეგვაქვს განცხადება და საქმის გადახედვას ვითხოვთ.

– თუ თვალით არავის უნახავს 220 კილოგრამი კოკაინი, მაშინ რას ედავებიან ამ ხალხს?

– ჩვენც სწორედ ეს გვაინტერესებს და ამაზე ვდაობთ ამდენი წელია. სულ ხმაურით მიდიოდა ეს საქმე და ყველა პროცესის შემდეგ ვალაგებდით „მტკიცებულებებს“, რას იკვლევდა ბრალდების მხარე, რაზე იყო საუბარი. ამ საქმეს არ ჩაუვლია ჩუმად. საქმეში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, ყველა დოკუმენტი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ყველაფერი გაყალბებულია!

– თქვენ მიმართეთ შეწყალების კომისიას, რომ სიაში შეეყვანათ ეს პირები, როდესაც სიები დგებოდა?

– როგორც ყველა ადვოკატმა, რასაკვირველია, მეც მივმართე. საქმეში იკვეთება მაღალი თანამდებობის პირების დაინტერესება და მათ შორის სოსო თოფურიძეზეა საუბარი. ბოჭორიშვილმა ჩანაწერი გამოაქვეყნა, როგორ სთხოვდა კუდის თანამშრომელი, თოფურიძის სახელით, 3 მილიონ ევროს გადასახდელად და მერე 2 მილიონზე ჩამოვიდა. როდესაც მაღალი თანამდებობის პირების დაინტერესება ჩანს ამ საქმეში და როდესაც ვერ ღებულობ სამართლიან სასამართლოს უფლებას, აქ პოლიტიკური ნიშნები იკვეთება.

– ანუ რას ამტკიცებთ?

– იქნებ დასვას ვინმე კითხვა, არიან კი ეს პირები დამნაშავეები?! რა საქმეა ეს ისეთი, რომ ამხელა სკანდალია ატეხილი. ვიღაცა ხომ უნდა დაინტერესდეს?! მე დღეს ვგეგმავ, მივმართო ისევ პროკურატურას, შექმნან თუნდაც კომისია, იურისტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფი. შეიყვანონ მასში ჟურნალისტებიც, ვინც გინდათ ის, თუნდაც ნაციონალები, რადგან ყველაზე მეტს ისინი აქტიურობენ და მოხდეს ამ საქმის საჯარო განხილვა.

თუ ამ საქმეში ვინმე იტყვის, რომ დიახ, მათ ჩაიდინეს დანაშაული, მე გაძლევთ პირობას, რომ საერთოდ წავალ ადვოკატობიდან. ამის პირობას გაძლევთ თქვენ!

ელისაშვილი სიზმარაა, კოჟორიძე — სიზმრების ამხსნელი

შორენა მარსაგიშვილი

რაზე ესაუბრა ბიძინა ივანიშვილი საპარლამენტო უმრავლესობას, როდის დაიდება „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია, რატომ არ უნდა დატოვონ პარლამენტი ბესელიამ და კობახიძემ? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თამაზ მეჭიაური ესაუბრება.

– 15 დეკემბერს საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ბიძინა ივანიშვილს შეხვდით. როგორც ამბობენ, ამ შეხვედრაზე ე.წ. ელისაშვილის სკანდალის განხილვა მოხდა. მართალია ეს ინფორმაცია?

– ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება. ამ შეხვედრაზე მხოლოდ ერთი საკითხი განიხილებოდა, ეს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებებია. გიმეორებთ, არანაირ სკანდალზე საუბარი არ ყოფილა.

– იმასაც ამბობენ, რომ შეხვედრაზე „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაზეც იყო საუბარი. ამაზე რას იტყვით?

– არც ამ საკითხზე არ გვისაუბრია. საარჩევნო სიაზე იანვარში იქნება საუბარი. მანამდე ამ თემაზე არაფრის თქმა არ შეიძლება.

– ამბობთ, რომ ივანიშვილთან ელისაშვილის სკანდალზე არ გისაუბრიათ, მაგრამ უმრავლესობის შიგნით ხომ საუბრობთ ამ თემაზე?

– ამ თემაზე ყველა საუბრობს და ჩვენ რატომ არ ვისაუბრებთ. ჩვენც გვაქვს ჩვენი მოსაზრებები.

– რა მოსაზრებები? არის ჭორები, რომ უმრავლესობის ზოგიერთი წევრი მანანა კობახიძეს და ეკა ბესელიას უპირისპირდება?

– ეს არის ჭორი. ჩვენ არც ბესელიას და არც კობახიძეს არ ვუპირისპირდებით. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს საკითხი პროკურატურამ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა გამოიძიოს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ორივე მათგანი მზად არის პროკურატურასთან სათანამშრომლოდ.

მათი მისამართით ისეთი მძიმე ბრალდებებია გაჟღერებული, კეთილი ინებონ და დაამტკიცონ. ადამიანისთვის სახელის გატეხვა დაუშვებელია. ელისაშვილი რომ იძახის, არნახულად საშინელ მესიჯებს მიგზავნიდნენო. იმასაც ამტკიცებს, რომ ეს საშინელებები პრეზიდენტსაც წაუკითხა. მე მაინტერესებს, პრეზიდენტმა მაშინვე რატომ არ ატეხა განგაში? მას თავისუფლად შეეძლო ამ საქმის გამოძიება მოეთხოვა და ის პირად კონტროლზე აეყვანა.

– რატომ არ მოიქცა ასე?

– ეს მას უნდა ვკითხოთ. პასუხად მხოლოდ იმას ამბობს, რომ მესიჯი ნანახი აქვს. ესეც თავისი მრჩევლის, კახა კოჟორიძის, პირით შემოგვითვალა. იმას არავინ ამბობს, რა მესიჯია. ასეთი მნიშვნელოვანი თუ იყო, რატომ დუმდა, ან იქნება ახლა გაიაზრა მისი მნიშვნელობა. ამაში კოჟორიძე დაეხმარა. ეს ყველაფერი ძალიან არასერიოზულია.

– თქვენი კოლეგა აკო მინაშვილი მიიჩნევს, რომ კობახიძემ და ბესელიამ პარლამენტი უნდა დატოვონ. ამაზე რას იტყვით?

– რა უნდა ვთქვა? დაუმტკიცეს ამ ქალბატონებს დანაშაული? აკო მინაშვილის მოთხოვნის საფუძველზე პარლამენტიდან არავინ არ უნდა წავიდეს. ეს ელისაშვილის განცხადებაზე უფრო არასერიოზული განცხადებაა.

– ელისაშვილი არასერიოზულად თქვენს განცხადებებს მიიჩნევს და ამბობს, რომ თქვენი შენახვა ბიუჯეტს საკმაოდ ძვირი იჯდება?

– ბიუჯეტს ჩემი შენახვა ზუსტად იმდენი უჯდება, რაც ერთი დეპუტატის შენახვა ჯდება. რამდენადაც მე ვიცი, მისი შენახვა არანაკლები უჯდება სახელმწიფოს.

– თქვენი ყველა განცხადება ლამის სკანდალის მიზეზი ხდება და ეს რისი ბრალია? დიპლომატია არ გყოფნით თუ რა ხდება?

– ვცდილობ ყოველთვის სიმართლე ვთქვა.

თამაზ მეჭიაური: „აკო მინაშვილის მოთხოვნით პარლამენტი არავინ უნდა დატოვოს“



სიმართლის მოსმენა კი ბევრს არ სიამოვნებს. ჩემი განცხადებები რომ გიკვირთ ყველას, ელისაშვილის განცხადებებს რატომ აღიქვამთ სერიოზულად, ეგ მაინტერესებს. ყველა ხვდება, საითაც მიდის ეს ყველაფერი.

– საით მიდის?

– ამ სიბინძურის ფრქვევით ცდილობენ „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციას. ამ საქმეში ბევრი ხალხია ჩართული. ელისაშვილი, არასამთავრობოები, ნაციონალები და პრეზიდენტიც ერთად არიან. ის დიდი ხნით ადრე არის მოფიქრებული.

– ეს სკანდალი პატრიარქის განცხადებას მოჰყვა, ყოველ შემთხვევაში, ელისაშვილი ასე ამბობს?

– პატრიარქმა ისეთი რა თქვა? ამას ელისაშვილი ალბათ ადრე თუ გვიან იტყოდა. მე არ ვიცი, რა სქემით მუშაობენ, მაგრამ ბევრი რამ საეჭვოდ ემთხვევა ერთმანეთს. ჯერ იყო და ელისაშვილმა საპატრიარქოში აუდიტის შესვლა მოითხოვა, მერე ზედ მიაყოლა პატიმრების თემა. ეს რაღაც ეჭვებს ბადებს. ელისაშვილი ახლა იაფფასიან პოპულიზმზეა გადასული და მისი გაკეთებული საქმე არავის უნახავს. მართლა მაინტერესებს, რისთვის ინახავს მას ბიუჯეტი. ეს ბიჭი სიზმარად იქცა. ოღონდ ის სიზმარა კეთილი იყო, ამას კიდევ ბოროტი სიზმრები აქვს. ამ სიზმრებს მერე სიზმრების მინისტრი კოჟორიძე შიფრავს. კიდევ კარგი, პრეზიდენტი „სიზმარას“ პერსონაჟ მეფეზე ცოტა კეთილია. ინტრიგების ქსოვა კი კარგად ეხერხება.

– ზემოთ ელისაშვილის მოთხოვნა გაიხსენეთ, მის გარდა საპატრიარქოში აუდიტის სამსახურის შესვლას სხვებიც ითხოვენ. თქვენ ამაზე რას იტყვით?

– კანონმდებლობის თანახმად აუდიტის სამსახური საპატრიარქოს ვერ შეამოწმებს. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებულია კონკორდატი, რომელიც მათ შორის ურთიერთობას არეგულირებს.

– რომ შეამოწმონ საპატრიარქო, ამით რა დაშავდება?

– არც არაფერი დაშავდება. საპატრიარქო მზად არის ამ შემოწმებისთვის. არც მე ამოვიღებდი ამის წინააღმდეგ ხმას, მაგრამ ამას ისეთი ოდიოზური ფიგურები ითხოვენ, რომლებიც იქით არიან აუდიტის მიერ შესამოწმებელი.

რაზე ესაუბრა ივანიშვილი უმრავლესობას

– რას გულისხმობთ?

– ის არასამთავრობოები, რომლებიც საპატრიარქოს უპირისპირდებიან, თავად ფინანსდებიან საეჭვო ფულით. ეს ფული უცხოეთიდან შემოდის. ძნელია გავიგოთ, რა ინტერესები აქვთ მათ დამფინანსებლებს. მათი ქმედებებით თუ ვიმსჯელებთ, დაკვეთა ასეთია, საპატრიარქოს როლი უნდა დაკნინდეს. ვიღაცას ძალიან აღიზიანებს, რომ ეს ინსტიტუტი ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჩვენი ეკლესიის მიმართ ნდობას სხვა რელიგიის მიმდევრებიც ამჟღავნებენ. ამის მიუხედავად, არასამთავრობოები ეკლესიის ლანძღვაზე არ რეაგირებენ, მაგრამ საკმარისია ვინმე ღგბტ ახსენო აუგად, რომ ერთი ამბავი ტყდება. აუგად ხსენებას ვინ ჩივის, მათი ირიბი კრიტიკაც კი არ შეიძლება. კბილებით და ფრჩხილებით იცავენ მათ.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უასლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

რეფინანსირების განაკვეთი 8%-მდე გაიზარდა

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს 50 საბაზისო პუნქტით 8.0 პროცენტამდე ზრდის.

ეს გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა გუშინ, 16 დეკემბერს, მიიღო.

როგორც ეროვნულ ბანკში განმარტავენ, მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილება ეყრდნობა მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, რომელთა მიხედვითაც, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება დადებითად უნდა აისახოს ინფლაციური მოლოდინების შემცირებაზე. თუ სხვა დამატებითი შოკები არ გამოიკვეთა, პოლიტიკის კიდევ უფრო გამკაცრება მომდევნო პერიოდში მოსალოდნელი არ არის.

მიმდინარე პროგნოზის მიხედვით, ინფლაცია 2016 წლის პირველ კვარტალში ეროვნული ბანკის მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღლა შენარჩუნდება. მომდევნო პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი ეტაპობრივ კლებას დაიწყებს და 5 პროცენტიან მიზნობრივ ნიშნულამდე წლის მეორე ნახევარში შემცირდება.

ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 6.3% შეადგინა. ინფლაციის ზრდის განმსაზღვრელი კვლავ მიწოდების მხარეს მოქმედი ფაქტორებია. კერძოდ, წარმოების შუალედური ხარჯების გაძვირება და ცალკეულ იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდა.

ინფლაციის მაჩვენებელზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ასევე, ელექტროენერგიის გადასახადის ერთჯერად მატებას. ინფლაციის ზრდას ზღუდავს სუსტი ერთობლივი მოთხოვნა და მსოფლიო ბაზარზე გაიაფებული ნავთობისა და სურსათის ეფექტი.

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა პროგნოზირებულთან შესაბამისია. წლის პირველ 10 თვეში ეკონომიკის რეალურმა ზრდამ 2.8% შეადგინა.

საგარეო სექტორი კვლავ რჩება ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორად. რეგიონში არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარება ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებზე. განვლილი პერიოდის მანძილზე ეკონომიკური ზრდა ძირითადად შიდა მოთხოვნით იყო განპირობებული, თუმცა ფულადი გზავნილების შემცირება და უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების გამო მომსახურების ტვირთის ზრდა მოთხოვნის შესუსტებაზე მოქმედებს.

პოზიტიური ტენდენციები გრძელდება საგარეო დისბალანსის აღმოფხვრის მხრივ. შემცირებული სავალუტო შემოდინებების ფონზე, გაცვლითი კურსის ცვლილებამ დააჩქარა იმპორტის კორექტირების პროცესი. ბოლო სამ თვეში იმპორტის წლიურმა კლებამ 18% შეადგინა (ერთჯერადი იმპორტის გათვალისწინების გარეშე). შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არსებული საგარეო შოკის ეფექტი კურსზე ამოწურულია. სხვა თანაბარ პირობებში, არსებული საგარეო შოკიდან კურსზე დამატებითი ზეწოლა მოსალოდნელი არ არის.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

მონეტარული პოლიტიკის შემდგომი ცვლილება დამოკიდებული იქნება ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელზე, მასზე მოქმედ ფაქტორებზე, გლობალურ და რეგიონალურ ეკონომიკურ გარემოზე და ზოგადად ეკონომიკაში არსებულ ვითარებაზე.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2016 წლის 3 თებერვალს გაიმართება.

მერიაში დასაქმებულთა რაოდენობა 3.919-დან 5.794-მდე იზრდება

თბილისის მერიის თანამშრომელთა რაოდენობა 2016 წლიდან ასეულობით დასაქმებულით გაიზრდება. მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრის, გივი კუბლაშვილის ინფორმაციით, საუბარია კონკრეტულ რიცხვზეც – მერიას 3.919-ის ნაცვლად, მომავალში სხვადასხვა პოზიციაზე 5.794 თანამშრომელი ეყოლება.

„ბიზნესპრესნიუსთან“ საუბარში გივი კუბლაშვილი ამბობს, რომ აღნიშნულ განცხადებას მერიის მიერ დეკემბრში წარმოდგენილ ე.წ. კორექტირებულ საბიუჯეტო დოკუმენტზე დაყრდნობით აკეთებს.

– დოკუმენტში გარკვევით არის მითითებული ამ ეტაპზე არსებულ თანამშრომელთა რაოდენობა და ის რიცხვიც, რამდენითაც 2016 წელს მერიაში დასაქმებულთა ბაზა გაიზრდება, – ამბობს გივი კუბლაშვილი.

მისივე თქმით, თბილისის მერიასა და გამგეობებში ახალი სამსახურები სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით იქმნება.

გივი კუბლაშვილი აღნიშნავს, რომ მერიის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში მცირდება სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის გამოყოფილი თანხის რაოდენობაც და თუ აქამდე სტუდენტების უწყვეტი სწავლისთვის 1 .370.000 ლარი იყო განსაზღვრული, 2016 წელს ეს თანხა 1.300.000-მდე შემცირდება.

კუბლაშვილის განცხადებით, ზოგიერთ რაიონში მცირდება უფასო სასადილოებისთვის გამოყოფილი თანხებიც – ნაძალადევში 114.200 ლარით, ვაკეში – 40 ათასი, სამგორში კი 113 ათასი ლარით. მისივე ინფორმაციით, 2.900.000 ლარი აკლდება დასუფთავების ბიუჯეტსაც.

თბილისის განვითარების ფონდის სახელფასო ბიუჯეტში დიდი რაოდენობის თანხები დანამატებისა და პრემიებისთვისაც განისაზღვრა. „მედიატორის“ წევრის თქმით, მერიის მხრიდან ამ ტიპის კორექტირებულ ბიუჯეტზე საუბარი ძალიან სამარცხვინოა.

ქრისტინე გამთენაძე, ბიპიენი

დედაქალაქის საახალწლო განათებასა და ცენტრალური ნაძვის ხის მორთვაში წელს მილიონ ლარამდე დაიხარჯება

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიიდან აცნობეს, წელს სრულიად ახალი დიზაინით და ილუმინაციებით თბილისის ცენტრალური ქუჩები: რუსთაველის გამზირი, ჭავჭავაძის გამზირი, მელიქიშვილისა და კოსტავას ქუჩები მოირთო.

აღნიშნული გამზირებისა და ქუჩების მორთვის მიზნით გამოცხადებულ საახალწლო ილუმინაციების ტენდერში კომპანია შპს „ნუკო+“-მა გაიმარჯვა და სატენდერო ღირებულება 748.000 ლარით განისაზღვრა.

საახალწლო ნაძვის ხის ტენდერში გამარჯვებული შპს „ჯეო სტრიმი“ გახდა და მომსახურების ღირებულებამ 175.573 ლარი შეადგინა, ხოლო თავისუფლების მოედანზე წმინდა გიორგის მონუმენტის განათებისა და მორთვის ტენდერში გამარჯვებული კომპანიის „გმმ ჯგუფის“ მომსახურება 33.990 ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ამასთან, მერიაში აცხადებენ, რომ ყველა არსებული საახალწლო ილუმინაცია, რაც აღდგენას დაექვემდებარება, დედაქალაქის სხვა ქუჩების გასაფორმებად გადანაწილდება.

ინტერპრესნიუსი

ინტერნეტი ყველა სოფელში უნდა იყოს

– ჩვენ შევქმენით მოდელი, რომლის მიხედვითაც მაქსიმალურად ეფექტურად და ნაკლები ინვესტიციებით იქნება შესაძლებელი საქართველოს მასშტაბით ინტერნეტის მთლიანი ქსელის აწყობა და დასახლებულ პუნქტებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მიყვანა, – ამის შესახებ დიმიტრი ქუმსიშვილმა ჟურნალისტებს ამ თემაზე დასმული კითხვების საპასუხოდ განუცხადა.

დიმიტრი ქუმსიშვილი:

– იდეა, რომ საქართველოს ყველა დასახლებული პუნქტი, სადაც 200-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, დაფარულიყო ინტერნეტით, ჩვენ, პირველ რიგში, შევთავაზეთ კერძო სექტორს, რომ მათ გამოეთქვათ თავიანთი სახსრებით პროექტში მონაწილეობის სურვილი და აეღოთ სახელმწიფოს წინაშე შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის ვალდებულება.

ამ ინფრასტრუქტურის შექმნა პრინციპულად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან ის იძლევა შესაძლებლობას, ჩვენი ქვეყანა ხარისხობრივად წინ წავწიოთ ამ მიმართულებით. ამავე დროს, არსებობს ევროპის სტრატეგია, სადაც პირდაპირ არის გაწერილი ვალდებულება, ევროპის ქვეყნებში რა სიჩქარისა და ხარისხის ინტერნეტი უნდა მიეწოდოს მომხმარებელს.

იმ ეტაპზე, სამწუხაროდ, კერძო სექტორმა არ გამოთქვა სურვილი, რომ თავისი სახსრებით დაეფარათ მთელი საქართველო.

მინისტრის განმარტებით, ამის შემდეგ მთავრობამ უკვე რამდენიმე მიმართულება განიხილა, მათ შორის არის კომბინირებული მიმართულება.

– ჩვენ კონსულტანტების, გერმანული კომპანია „დეტეკონის“ მეშვეობით, რომელიც შეირჩა ტენდერის შედეგად, შევქმენით იდეალური ქსელი. ეს არის ის მოდელი, რომლის მიხედვითაც მაქსიმალურად ეფექტურად და ნაკლები ინვესტიციებით იქნება შესაძლებელი მთლიანი ქსელის აწყობა და დასახლებულ პუნქტებში, ცენტრებში, სკოლებში, პოლიციის შენობებში, გამგეობებში და ა.შ. ამ ინფრასტრუქტურის მიყვანა, – აღნიშნა მინისტრმა.

დიმიტრი ქუმსიშვილის თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო დონორთან ერთად გაკეთებს მხოლოდ ინფრასტრუქტურას და არ შევა ინტერნეტის ბიზნესში.

დიმიტრი ქუმსიშვილი:

– ეს კატეგორიულად მიუღებელია. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მივიყვანთ მხოლოდ ინფრასტრუქტურას, რომლის მეშვეობითაც შემდეგ უკვე კერძო სექტორი მიიყვანს საბოლოო მომხმარებლამდე სერვისებს, ხოლო მომხმარებელი მომსახურების თანხას გადაუხდის კერძო სექტორს ანუ ინტერნეტ-პროვაიდერს.

ზუსტად იმიტომ, რომ ეს არის ინფრასტრუქტურა, რომელიც ქვეყნისთვის არის მნიშვნელოვანი, იქნა მოძებნილი კერძო და საჯარო პარტნიორობის ფორმა – ეს არის ააიპი, რომელსაც ყავს დონორი, ფონდი „ქართუ“.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ქვეყნის ინტერნეტიზაცია არ არის მარტივი პროცესი, მას ახლავს მეორე ნაწილიც, ეს არის ინტერნეტის ცოდნის ამაღლების ნაწილი, ასევე ვაუჩერიზაციის ნაწილი, ასევე და ა.შ.

– ჩვენ მოსახლეობაში უნდა ავწიოთ ინტერნეტის მოხმარების ცოდნა და შევქმნათ სასწავლო ცენტრები, მომავალში კი მათ მივაწოდოთ ის იაფი მოწყობილობები, რომლითაც ინტერნეტს მოიხმარენ.

ეს არის ძალიან დიდი და კომპლექსური პროექტი, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

თბილისში ლომბარდების ნაწილი იხურება

თბილისში ლომბარდების ნაწილი იხურება. „კომერსანტის“ მიერ გამოკითხული რამდენიმე ლომბარდის წარმომადგენელი აცხადებს, რომ რაც დრო გადის, მათ ბიზნესში მდგომარეობა უფრო რთულდება. მიზეზად კი რამდენიმე ფაქტორი სახელდება.

ჯავახეთის ქუჩა კორპ. 2-ში მდებარე ლომბარდ „ი.მ ჯგუფში“ აცხადებენ, რომ ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გამო 1 თვეა დაიხურნენ. მათი ინფორმაციით, ბოლო პერიოდში ძალიან დაეცა ოქროს ფასი, რის გამოც, კლიენტებს აღარ უღირდათ ნივთების გამოსყიდვა. გარდა ამისა, ნაკლები იყო დალომბარდების მსურველთა რიცხვიც.

– ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჩვენი საქმე ცუდად წავიდა, თან ჩვენ გვერდით ბევრი ლომბარდი გაიხსნა, არადა, მომართვიანობა ძალიან შემცირდა, – აცხადებენ „ი.მ ჯგუფში“.

ყაზბეგის 8 ა-ში მდებარე ლომბარდ „გოლდში“ კი აცხადებენ, რომ გასულ წელთან შედარებით ოქროს დალომბარდების სტატისტიკა შემცირებულია. ასევე შემცირებულია იმ კლიენტების რიცხვი, ვისაც ნივთების უკან გამოსყიდვა სურს.

– არ ვიცით, რა არის შემცირების მიზეზი, თუმცა, ფაქტია, რაც წლები გადის, უფრო და უფრო მძიმდება სიტუაცია, – აცხადებენ „გოლდში“.

ანალოგიურ პრობლემაზე საუბრობენ კოსტავას 75-ში მდებარე „ორბი 777“-შიც. მათი განცხადებით, მოსახლეობის მხრიდან მომართვიანობა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირებულია. თუმცა, სხვა დამატებით დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებენ.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე

საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შედის

გადასახადებით დაბეგვრისა და გადასახადების ადმინისტრირებაში ცალკეული პრობლემური საკითხების გადაჭრის, დაბეგვრის მექანიზმის სრულყოფის და დადგენილი საგადასახადო შეღავათების ვადის გაგრძელების აუცილებლობის მიზნით, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შინაარსობრივი და რედაქციული ხასიათის ცვლილებები შედის.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ლაშა ხუციშვილის განცხადებით, ძირითადი ცვლილებები 2018 წლის 1 იანვრამდე განხორციელდება: ფიზიკური პირისთვის, რომელიც საქმიანობს ბაზრობის ტერიტორიაზე საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან გათავისუფლება გადავადდება;

ფიზიკური პირისათვის, რომელიც მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემას ახორციელებს, სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი გადავადდება;

თამბაქოს ნედლეულისათვის იმპორტის გადასახადზე დაწესებული საგადასახადო შეღავათი ვადა 2018 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდება;

2015 წლის 13-14 ივნისს ქალაქ თბილისში მომხდარ სტიქიასთან დაკავშირებით, საწარმოს ან ფიზიკური პირის მიერ სახელმწიფოსთვის ან ადგილობრივი თვითმმართველობისათვის უსასყიდლოდ გადაცემული ფულადი სახსრები, ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას დაექვემდებარება.

ლაშა ხუციშვილის განმარტებით, საქართველოს მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება, განსაზღვროს საქმიანობის სახეები, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც პირებს შემოსავლის 3 პროცენტიანი ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმის გამოყენების უფლება ექნებათ.

მინისტრის მოადგილემ ასევე განმარტა, რომ საჭადრაკო ოლიმპიადებზე, ევროპის თამაშებში, მსოფლიოს ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებსა ან/და ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები, აგრეთვე საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ, არაოლიმპიურ და ცალკეულ სათამაშო სახეობებში სპორტსმენებისა და მწვრთნელებისათვის დაწესებული სხვა ფულადი პრიზები საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

ლევან ალაფიშვილი: „მურუსიძის დანიშვნა-არდანიშვნას დიდი მნიშვნელობა არ აქვს“

ნათია ხურცილავა

გახდება თუ არა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი მდივანი ლევან მურუსიძე უვადოდ არჩეული მოსამართლე?

სამართლის ექსპერტი, კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესი პოლიტიზირებულია.

ლევან ალაფიშვილი:

– მოსამართლეთა კორპუსის დიდ ნაწილს მოსამართლეობის უფლებამოსილების ათწლიანი ვადა გაუვიდა. ისინი ვეღარ შეასრულებენ მართლმსაჯულების ფუნქციას, შესაბამისად, დიდი ვაკანსია წარმოიშვა სისტემაში. იუსტიციის საბჭო რთული გამოწვევის წინაშე დგას.

– კონკრეტულად?

– თუ ის რომელიმე კანდიდატის მიმართ განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებს, ამას რა მოჰყვება? ეს იქნება უპირობო კანონდარღვევა. ეს იქნება დისკრიმინაცია. საფუძველშივე დაუშვებელია, რომ ლევან მურუსიძემ არ მიიღოს კონკურსში მონაწილეობა და არ იყოს ის თანაბარ პირობებში. ზედმეტი, გადაჭარბებული ინტერესი პროცესის პოლიტიზირების საფრთხეს შეიცავს.

– კვალიფიციური, გამოცდილი მოსამართლეების დეფიციტზე არის საუბარი, მაგრამ რამდენად მნიშვნელოვანია მოსამართლის კეთილსინდისიერება? საიას თავმჯდომარე აცხადებს, თუ ქვეყანა დიქტატურის საფრთხის წინაშე დადგა, მურუსიძე ამ ყველაფერს კანონმდებლობით გაამართლებსო.

– რას ნიშნავს კეთილსინდისიერება? მაშინ, როდესაც მოსამართლეს აქვს კანონი და სამართლიანი სასჯელი უნდა გამოიტანოს, აქ სად არის კეთილსინდისიერების ადგილი?! როდესაც იურისტი კეთილსინდისიერების კატეგორიით მსჯელობს, მოცემულობა მაინც უნდა გვიწყობდეს ხელს, როდესაც სახეზე არის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენები.

– ლევან მურუსიძის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე სტრასბურგის სასამართლოს განაჩენი არსებობს და ამ განაჩენის შინაარსი საზოგადოებისთვის ცნობილია.

– ჩვენს კანონმდებლობაში არსებობს ჩანაწერი, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა საქმის წარმოების განახლებისთვის. სწორედ სტრასბურგის გადაწყვეტილების საფუძველზე რატომ არ განაახლა საქმის წარმოება პროკურატურამ, სასამართლომ?! როდესაც პოლიტიზაციაზე ვსაუბრობთ, კითხვას ვსვამ – პოლიტიკური მოტივით არ განაახლეს? ეს არგუმენტი ჩემთვის საკმარისი არ არის.

პიროვნულად ვერ დავახასიათებ ბატონ მურუსიძეს, რადგან მასთან საადვოკატო საქმიანობის და არც ისე შეხება არ მქონია. მე გესაუბრებით ზოგადად პროცესზე. ჩემთვის ერთი კანდიდატის მიმართ წარმოდგენილი პროცესი საფუძველშივე მიუღებელი და არასწორია. მურუსიძის დანიშვნა-არდანიშვნა არ განაპირობებს სასამართლო სისტემის მომავალს.

– ხომ აქვს მნიშვნელობა, როგორ განვითარდება მოვლენები თუნდაც მურუსიძესთან დაკავშირებით, ეს ხომ განაპირობებს ბევრ რამეს სისტემაში?

– თვითონ მურუსიძეს აქვს საჯაროდ ნათქვამი, ეს იყო ის გადაწყვეტილებები, რაც მივიღე, მაგრამ ეს იყო ის, რასაც იმ დროისთვის მე კანონი მკარნახობდაო. ადამიანურად მასაც არ მოსწონს მისი გადაწყვეტილებები, ეს მან აღიარა.

რაც შეეხება მურუსიძის მომავალს. თუ ის გახდა ხვალ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც ერთპიროვნულად საქმეს არ განიხილავს, საქმეს სამი მოსამართლე განიხილავს და მურუსიძეს ერთი ხმა ექნება, ეს რა გავლენას იქონიებს მართლმსაჯულებაზე?! ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ერთი მოსამართლის ბედზე იყოს დამოკიდებული ქართული მართლმსაჯულების მომავალი. რაც მოხდა წინა წლებში, გაკვეთილები უნდა იყოს ჩვენთვის.

– თქვენ რა კითხვა გაქვთ მურუსიძესთან?

– რას შეცვლიდა იმ კანონმდებლობაში, როდესაც საქმეებს იხილავდა. ამ კითხვას დავუსვამდი და არ წარმოვაჩენდი ისე, რომ თუ მურუსიძე მოსამართლე გახდა, მთელი სისტემა ჩამოიშლება და თავზე დაგვემხობა.

– ბატონო ლევან, საზოგადოების აქტიურობა, ზედამხედველობა არ მოგწონთ?

– რა თქმა უნდა, მომწონს და ეს კარგია, მაგრამ მხოლოდ ამ მიმართულებით საკითხის დანახვა სწორი არ მგონია. როგორი იქნება ის მართლმსაჯულება, რომელსაც მივიღებთ, ეს არის მთავარი.

იყვნენ, არიან და იქნებიან მოსამართლეები, რომელთა გადაწყვეტილება ერთს მოეწონება, მეორეს კი არ მოეწონება. ასევე არიან და იქნებიან მოსამართლეები, რომლებიც კანონის ფარგლებში რჩებიან, მაგრამ კანონის მიღმაც გადიან.

ქრთამის აღების ფაქტზე თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომელი დააკავეს

ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომელი ანზორ გუნბერიძეა დაკავებული, – ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

– ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიულ – სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დაადგინა, რომ ბრალდებულმა თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერის ზედამხედველობის პროცესში, რომელიც ეხებოდა ვანდალიზმის შედეგად დაზიანებული ფასადების აღდგენას, კერძოდ კი, ერთ-ერთ ობიექტზე ვითომდა გაკრული პლაკატებისაგან გასუფთავებას, რაც რეალურად არ არსებობდა, ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენელს დაამზადებინა სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი ყალბი აქტი, რის საფუძველზეც მერიიდან აღნიშნულ კომპანიას საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხა 5.000 ლარი. სანაცვლოდ ბრალდებულმა ქრთამის სახით მოიოთხოვა და აიღო თანხის ნახევარი, 2.500 ლარი.

მათივე ცნობით, ბრალდებული დაკავებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

ინტერპრესნიუსი

ბაჩო ახალაია: „ჩვენ გვექცევიან არაადამიანურად“

ე. წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე ბრალდებულმა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ბაჩო ახალაიამ სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ ციხეში არაადამიანურად ექცევიან.

ბაჩო ახალაია:

– მაქვს სურვილი, ევროპის წამების პრევენციის კომიტეტის დასკვნა დაერთოს მტკიცებულებად აღნიშნულ საქმეს, რადგან ამ დასკვნაში საუბარია იმაზე, რაზეც მე ვსაუბრობ, რომ ჩვენ გვექცევიან სრულიად არაადამიანურად. თუმცა ვართ ჩუმად და ასე ყველაფერს ვიტანთ და ავიტანთ კიდეც, მაგრამ ეს არ არის მთავარი პრობლემა.

დასკვნაში ასევე საუბარია, რომ სასჯელაღსრულების სამივე მინისტრი, ყოფილები და ამჟამინდელი „კანონიერ ქურდებთან“ ერთად მუშაობენ.

ჩვენ ყველაფერს ვუძლებთ და ვინც ვერ გაუძლო, გარეთ არის. ზოგი საშვილიშვილო შეცდომებსაც კი უშვებს, მაგრამ ეს ჩვენ არ გვეხება. მთავარია, რომ აღდგა სისტემა ე. წ. კანონიერი ქურდების მიერ მმართველობის.

ჩვენ გვეგონა, რომ თურმე ეს ყველაფერი დავამარცხეთ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, უბრალოდ შეგვიჩერებია. საბოლოოდ ძალიან მწარე ვითარებაა.

ინტერპრესნიუსი

ლევან ბერძენიშვილი: „შეწყალების კომისიასთან დაკავშირებით პოლიტიკოსები ძველი იტალიური ფილმების სფეროში გადადიან“

ლევან ბერძენიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, თუკი პროკურატურა შეწყალების კომისიასთან დაკავშირებით პრეზიდენტის დაკითხვას საჭიროდ მიიჩნევს, მაშინ მას დაკითხვაზე დაიბარებენ.

ლევან ბერძენიშვილი:

– პრეზიდენტი რიგითი მოქალაქეა და თუ პროკურატურა მიიჩნევს საჭიროდ მაშინ პრეზიდენტს დაკითხვაზე დაიბარებენ.

არამგონია, რომ პრეზიდენტმა რაიმე არ დაადასტუროს. რაც შეეხება იმას, რომ მესიჯები გაქრა ტელეფონიდან, თავისთავად საინტერესო განვითარებაა, რადგან ნელ-ნელა ძველი



იტალიური ფილმების სფეროში გადავდივართ. როგორც ჩანს, სადღაც რაღაც ისე არ არის, როგორც საჭიროა.

იმედი მაქვს, რომ პროკურატურა ბოლომდე გაიერკვევა საქმეში.

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, საქართველოს პრეზიდენტი პროკურატურასთან სულ თანამშრომლობდა და ეს თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ შეწყალების კომისიის გარშემო განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით პოლიტიკოსები ძველი იტალიური ფილმების სფეროში გადადიან.

ინტერპრესნიუსი

ლევან მურუსიძე: რატომ არ მოვიდა საიას თავმჯდომარე შეხვედრაზე?

– საიას თავმჯდომარე გულწრფელად რომ იყოს დაინტერესებული, რა ხდება სასამართლო სისტემაში, შეხვედრაზე მოვიდოდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე გულწრფელად რომ იყოს დაინტერესებული, თუ რა ხდება სასამართლო სისტემაში, მოვიდოდა და გამოხატავდა თავის პოზიციას, – ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ განაცხადა.

მისი თქმით, შეხვედრაზე მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მივიდა, თუმცა მიწვეული იყო ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც სასამართლო სისტემაზე მუშაობს.

ლევან მურუსიძე:

– გუშინ ჩემს გასაუბრებას ესწრებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების ძალიან დიდი ნაწილი და რატომღაც მათ ჰქონდათ პრეტენზია, რომ კითხვების დასმის საშუალება არ მიეცათ, თუმცა გასაუბრებაზე დაისვა ყველა ის კითხვა, რომელიც აინტერესებდა საზოგადოებას.

მათი განცხადებების გამო მოვიწვიე არასამთავრობო ორგანიზაციები, ვისაც გარკვეული პრეტენზია აქვს სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით, რომ მოსულიყვნენ და თავიანთი აზრი დაეფიქსირებინათ. თუმცა რეალურად მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მოვიდა, მათ შორის იყო ნანა კაკაბაძე.

თუ გულწრფელად არიან დაინტერესებული ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც გააჩნიათ პრეტენზია, რომ მათ გარკვეული როლი უნდა ითამაშონ დამოუკიდებელი სასამართლოს აშენებაში, მათი მხრიდან შეხვედრაზე არ მოსვლა არის მიუღებელი. მათ შეეძლოთ თავიანთი წარმომადგენელი გამოეგზავნათ. მაგალითად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი რაღაცეები ისაუბრა. ის რომ გულწრფელად დაინტერესებული იყოს თუ რა ხდება სასამართლო სისტემაში, მოვიდოდა და გამოხატავდა თავის პოზიციას.

თუმცა რატომღაც თავი შეიკავა და თავი შეიკავა იმისგან, რომ სამართლებრივად დაესაბუთებინა კონკრეტულად რა გადაწყვეტილების მიღება შეეძლო ლევან მურუსიძეს უზენაეს სასამართლოში. არ გამოცხადდა თითქმის არავინ და კიდევ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს არის ხელოვნური პროცესი.

ინტერპრესნიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

საბაჟოზე არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტი გამოავლინეს

საბაჟო გამშვებ პუნქტზე „სადახლო-საავტომობილო“ არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტი გამოავლინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, მებაჟე ოფიცრებმა სომხეთის მხრიდან შემოსულ რუსეთის მოქალაქე ა.რ.-ს, ეჭვის საფუძველზე სხეულის სკანერით დათვალიერების შედეგად, საერთო წონით 31,71 გრამი ოქროს ნაკეთობები აღმოუჩინეს. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 5899,96 ლარი შეადგინა.

საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, პირს სანქციის სახით 5899,96 ლარის ოდენობით ფულადი ჯარიმა შეეფარდა.

ინტერპრესნიუსი

ქერი პუტინს და ლავროვს შეხვდა

რთული მოლაპარაკებები მოსკოვში

15 დეკემბერს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი მოსკოვში ჩავიდა.

მისი ვიზიტი მრავალფეროვანი გამოდგა. ქერი შეხვდა რუსეთის ჰელსინკის ჯგუფის წარმომადგენელ ალექსეევას, გაისეირნა არბატზე, შეხვდა და ესაუბრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვს, პრეზიდენტ პუტინს.

ამერიკელი სტუმარი თავის სამშვიდობო განწყობას ყოველმხრივ ხაზს უსვამდა. ლავროვის თავაზიან მიპატიჟებაზე ქერიმ რუსულად მიუგო „სპასიბო“. მიუხედავად ამისა, მოლაპარაკებები რთულად წარიმართა.

საუბარი ორ თემას შეეხებოდა, სირიის კონფლიქტს და უკრაინაში შექმნილ ვითარებას.

ლავროვთან შეხვედრა ორ საათს გაგრძელდა. პუტინთან შეხვედრა – სამ საათზე მეტხანს. ქერიმ რუსეთის პრეზიდენტს სტუმართმოყვარეობისთვის მადლობა გადაუხადა. თავის მხრივ, პუტინმაც შენიშნა, რომ ქერის წვლილი უდიდესია იმაში, რომ რუსეთ-აშშ-ს დიალოგმა კონკრეტული ელფერი შეიძინა.

ქერიმ აღნიშნა, რომ რუსული ავიაცია სირიის ზომიერ ოპოზიციასაც ბომბავს. პუტინის პასუხმა ამერიკელი სტუმარი დააკმაყოფილა.

– ამას მხედველობაში მივიღებთ, – მიუგო პუტინმა

ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ სირიაში მდგომარეობის ნორმალიზებისთვის აუცილებელია ავტორიტეტული გარდამავალი დროებითი მთავრობის შექმნა ბაშარ ასადის გარეშე.

პუტინი ამას არ დაეთანხმა, თუმცა თავად გარდამავალი მთავრობის შექმნის იდეა გონივრულად მიიჩნია. რუსეთის პრეზიდენტი იმასაც დაყაბულდა, რომ შეიქმნება სირიის ოპოზიციის ერთიანი სია, რომელიც მოლაპარაკებებს ოპოზიციის სახელით განაგრძობს. ასევე შეიქმნება იმ ტერორისტული ორგანიზაციების ერთიანი სია, რომელთა წინააღმდეგაც საომარი მოქმედებები განხორციელდება.

ქერის წინადადებაზე, რომ რუსეთმა და აშშ-მ სირიის საკითხზე ერთობლივი რეზოლუცია შეიმუშაონ და გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე წარადგინონ, პუტინმა მიუგო:

– ამას მთლიანად ვეთანხმებით!

ამავე დროს, პუტინმა უარი განაცხადა ამერიკელთა ეგიდით შექმნილ ანტიტერორისტულ კოალიციასთან შეერთებაზე.

– კოალიციის ქმედება არ არის შეთანხმებული სირიის კანონიერ პრეზიდენტ ასადთან, არც გაეროს მანდატი არსებობს, შესაბამისად, კოალიციის საქმიანობა საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

ჟურნალისტებთან საუბარში ქერიმ რუსეთის პრეზიდენტის ეს სიტყვები საგანგებოდ მოიყვანა, რათა ხაზი გაესვა, რომ რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობებში სერიოზული უთანხმოებები კვლავაც რჩება.

ამავე დროს, ქერიმ თქვა, რომ გამოიკვეთა შეხების წერტილები.

მოლაპარაკებებზე უკრაინული პრობლემის განხილვას ნაკლები დრო დაეთმო. ქერის წინადადებაზე, დონბასის ომი უნდა შეჩერდესო, ლავროვმა მიუგო:

– ჩვენ საამისოდ მზად ვართ!

შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დაინტერესდა, როდის გაუქმდება რუსეთის მიმართ დაწესებული საერთაშორისო სანქციები. ქერიმ ამაზე უპასუხა, რომ აუცილებელია მინსკის ხელშეკრულებების განუხრელი დაცვა, სანქციების გაუქმებაც ამაზეა დამოკიდებული.

იგივე თემა პუტინთან საუბრის დროსაც წამოიჭრა. ქერის პოზიცია უცვლელი იყო:

– ჩვენ არ გვინდა რუსეთის იზოლაცია, მაგრამ მინსკის ხელშეკრულებების დაცვა აუცილებელია!

პუტინმა პასუხად წამოაყენა წინადადება, რომ აშშ უკრაინული პრობლემის მოგვარებაში უფრო აქტიურად ჩაერთოს.

– ჩვენ მივესალმებით, თუ აშშ ნორმანდიული ფორმატის ქვეყნებთან ერთად უკრაინული პრობლემის მოგვარებაში ჩაერთვება, – თქვა რუსეთის ლიდერმა.

ამავე დროს, პუტინმა გაიმეორა თავისი ძველი თეზისიც:

– აუცილებელია, დონბასს განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭოს, დაარწმუნეთ ოფიციალური კიევი, რომ ეს აუცილებელია.

ქერიმ ამაზე მიუგო:

– მინსკის ხელშეკრულებები ყველა მხარემ უნდა დაიცვას!

იტალია რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაგრძელებას მხარს უჭერს

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯენტილიონიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაგრძელებას მხარს უჭერს. აღნიშნული საკითხი განიხილება ევროკავშირის უახლოეს სამიტზე, რომელიც ბრიუსელში 17-18 დეკემბერს ჩატარდება.

სანქციების გარშემო დიდ დისკუსიებს არ ველი, – თქვა ჯენტილიონიმ.

იტალია უკანასკნელ მომენტამდე რუსეთის მიმართ სანქციების გაგრძელებისგან თავს იკავებდა. იტალიელებმა პოზიცია შეიცვალეს მას შემდეგ, რაც მინსკში საკონტაქტო ჯგუფის მორიგი შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. დონბასელმა სეპარატისტებმა უარი განაცხადეს, არჩევნები უკრაინული კანონების თანახმად ჩაეტარებინათ. ამან სამშვიდობო პროცესი ჩაშლის საფრთხის წინაშე დააყენა.

– მინსკის სამშვიდობო პროცესს საფრთხე დაემუქრა. ჩვენც სანქციების გაგრძელებას მხარს ვუჭერთ, – ამბობს ჯენტილიონი.

დუდა: „უკრაინას მხარს ვუჭერთ“

პოლონეთის პრეზიდენტი უკრაინაში ჩავიდა

კიევს ოფიციალური ვიზიტით პოლონეთის პრეზიდენტი ანჯეი დუდა ეწვია. ის შეხვდა პრეზიდენტ პოროშენკოს, პრემიერ იაცენიუკს, პარლამენტის სპიკერ გროისმანს. პოლონურმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, რომ დაეხმაროს უკრაინას რუსეთთან საზღვრის დაცვაში.

დუდამ განაცხადა:

– ჩვენ უკრაინის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას უპირობოდ ვაღიარებთ! ნებისმიერი სპეკულაცია დასავლეთ უკრაინის თაობაზე მიუღებელია. ეს რეგიონი უკრაინის განუყოფელი ნაწილია!

პოლონეთის ლიდერმა განაცხადა, რომ პოლონეთ–უკრაინის ისტორიაში, განსაკუთრებით უახლეს ისტორიაში, არის მომენტები, რომლებიც გულმოდგინე შესწავლასა და დიალოგს მოითხოვს.

პეტრო პოროშენკო ამას დაეთანხმა.

– ჩვენ ასეთი დიალოგისთვის მზად ვართ! –თქვა უკრაინის პრეზიდენტმა.

მხარეები შეთანხმდნენ მჭიდრო სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. დუდამ აღნიშნა, რომ რუსეთზე ზეწოლა უნდა გაძლიერდეს. პოლონეთის პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა როგორც რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაძლიერებას, ასევე უკრაინისთვის ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის მინიჭებას.

პარალელურად პოლონეთის ლიდერმა თქვა, რომ მისი ქვეყანა დონბასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში არ ჩაერევა.

– არსებობს ნორმანდიული ფორმატი. ჩვენ მის მუშაობაში მონაწილეობის მიღებას არ ვაპირებთ, – განაცხადა დუდამ.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ქელი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ჩრდილოეთ კორეაში კანადელი პასტორი გაასამართლეს

ჩრდილოეთ კორეაში კანადელი პასტორი ჰიონ სუ ლიმი გაასამართლეს. მას ბრალი ჯაშუშობაში დასდეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

ჰიონ სუ ლიმი წარმოშობით კორეელია, თუმცა კანადაში გაიზარდა და ამ ქვეყნის მოქალაქე იყო.

ჰიონ სუ ლიმი, როგორც მისიონერი, ჩრდილოეთ კორეაში არაერთგზის ჩადიოდა. ხელისუფალნი უცხოელი მისიონერების მიმართ უნდობლად იყვნენ განწყობილნი. ყველა ჩამოსული ჩრდილოეთ კორეის საიდუმლო პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

დღემდე გაუგებარია, რატომ დააპატიმრეს ჰიონ სუ ლიმი და რატომ დაუბრალეს ჯაშუშობა. ის პოლიტიკისგან შორს იდგა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფირმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

მალამო „მენტორი პირველის“ გამოყენების წესი

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს. აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხსნის ფეხებში სიმძიმესა და დაჭიმულობას.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მობ. ტელ: 599-73-48-21

თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები ოდითგანვე იყო ცნობილი. დღეს თოდუების გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელიც წარჩინებით მიჰყვება თავის საქმიანობას და ჰყავს ათასობით მადლიანი პაციენტი.

ლამარა თოდუა:

„კანის გაწმენდას ვაკეთებ ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. ჩემი მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა. ვკურნავ „პრიჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტს. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას. ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის. ვარჩენ ნაწოლებს, თმის ჩაბრუნებას. ჩემი მალამოებით სწრაფად ხორცდება ნებისმიერი ხარისხის დამწვრობა ისე, რომ ნაწიბური და ლაქა არ რჩება. ვარჩენ ხელისა და ფეხის ოფლიანობას. მკურნალობის შედეგი გარანტირებულია“.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ლაშა ჯაკობია: „ჩემი პოტენციალის მხოლოდ 30% ვაჩვენე“

საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, ლაშა ჯაკობიას ჯარიერის დიდი ნაწილი ბელგიასა და უკრაინაში აქვს გატარებული. განსაკუთრებით თავი უკრაინაში დაგვამახსოვრა, სადაც ხარკოვის მეტალისტსა და კიევის არსენალში თამაშობდა.

ახლა ჯაკობია ფეხბურთელების აგენტია, პარალელურად კი, ფოთის კოლხეთის სპორტული დირექტორი. მისი მეშვეობით აღმოჩნდა ლუკა ზარანდია (გენკი), ჯიმი ტაბიძე, გიორგი ბერიძე (ორივე გენტი) და ლევან შენგელია (ტუბიცე) ბელგიაში, ხოლო ლუკა კიკაბიძე (ბასტია) – საფრანგეთში.

უკრაინული მედია არა მარტო ქართული ფეხბურთით, არამედ პოლიტიკითაც დაინტერესდა და ინტერვიუ ჩამოართვა ლაშა ჯაკობიას.

– საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ საქართველოში დაფუძნდით და ახლა ფოთის კოლხეთის სპორტული დირექტორი ხართ. მწვრთნელად მუშაობა რატომ არ ისურვეთ?

– ასე გამოვიდა. კარიერის დასრულების შემდეგ ერთი წელი უსაქმოდ ვიყავი, შემდეგ ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელების ევროპაში მოწყობაზე დავიწყე მუშაობა. ბოლოს კოლხეთის სპორტული დირექტორობა შემომთავაზეს და დავთანხმდი. ეს სამუშაო უფრო ახლოს არის ჩემთან, ვიდრე მწვრთნელობა.

– ყოფილი საბჭოეთის რამდენიმე ქვეყანა საფეხბურთო კუთხით დაწინაურდა. მაგალითად, აზერბაიჯანი, ყაზახეთი. ქართულმა ფეხბურთმა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა ტალანტებით, რატომ შეწყვიტა განვითარება?

– თქვენც კარგად იცით, რა თანხები იდება ფეხბურთში აზერბაიჯანსა და ყაზახეთში. ადრე თუ გვიან, ამას შედეგი უნდა მოეტანა – ასტანა ჩემპიონთა ლიგაზე, ხოლო ყარაბახი და გაბალა ევროპის ლიგაზე თამაშობდნენ. საქართველოში კი ფეხბურთში ფულის ჩადება არავის უნდა. ახლა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილია, რომელიც ფეხბურთის განვითარების ახალ პროგრამაზე მუშაობს.

– დღეისთვის რა დონეზეა საქართველოს ჩემპიონატი?

– სუსტი ჩემპიონატია. რამდენიმე 18-19 წლის ფეხბურთელი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, ევროპაში წავიყვანე და ნათელი გახდა, რომ მათ ჯერ დრო სჭირდებათ, რათა თანამედროვე ფეხბურთის რიტმზე გადაეწყვნენ. ბელგიაში სხვა სიჩქარეებია, ვიდრე საქართველოში. ახლა საქართველოში ორი გუნდი ჩანს – გორის დილა და თბილისის დინამო. კარგ დონეზეა საბურთალოც, რომელსაც თავისი აკადემია აქვს. დანარჩენ კლუბებში დაბალი ხელფასებია და თუ სახელმწიფო არ დაეხმარა, არანაირ პროგრესზე არ შეიძლება საუბარი.

– როგორი ხელფასებია ქართულ კლუბებში? ფეხბურთელები კმაყოფილნი არიან ცხოვრებით?

– საშუალო ხელფასი 700-800 დოლარი თუ იქნება. ალბათ რამდენიმე ფეხბურთელი თუ იღებს 1.500 დოლარამდე.

– ვინ არის სადღეისოდ საქართველოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი?

– ალბათ ვინმე დილას ფეხბურთელი. შესაძლოა, მარცვალაძე.

– მაინც რამდენი ექნება ხელფასი?

– ვფიქრობ, 10.000 დოლარამდე. ნაკლებ თანხაზე თავად არ დათანხმდებოდა. დილას სურდა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი გაევლო და რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი დაიმატა. მათ შორის მარცვალაძე და ნავალოვსკი, რომლებიც რუსეთის ჩემპიონატში თამაშობდნენ. თუმცა, დილას პირველივე რაუნდში არ გაუმართლა – პარტიზანს შეხვდნენ და ტურნირს გამოეთიშნენ.

– უკრაინელი ფეხბურთელები არიან საქართველოში?

– დილაში მეკარე ანდრეი შევჩენკო. გასულ წელს უფრო მეტი იყო უკრაინელი, მაგრამ გვარებით არ მახსოვს.

– ევროპის ჩემპიონატზე უკვე 24 გუნდია. საქართველო კი ასეთ შემთხვევაშიც მის მიღმა აღმოჩნდა.

– სანამ საქართველოს ჩემპიონატში ლეგიონერები არ იქნებიან, ნაკრები ვერსად მოხვდება.

– ახლა ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავაა. პოპულარობითაც პირველია საქართველოში?

– გვყავს კიდევ ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი – ვალერი ყაზაიშვილი, რომელიც ვიტესში თამაშობს და ბლომადაც გააქვს. ეს ორი ითვლება ნაკრების ლიდერად.

– რა დაემართა ლევან ყენიას?

– ტრავმები და ძალიან ბევრი. საწყენია, რომ დიდი ფეხბურთი ვერ ითამაშა. ახლა პრაღის სლავიაშია.

– ერთხელ კანკავა გამოტყდა, რომ შეუძლია ერთ საღამოს 3 ლიტრი ღვინო დალიოს. თქვენი რეკორდი რამდენია?

– არ მიყვარს დალევა. როდესაც უკრაინაში ვთამაშობდი, ყველას ეგონა, რომ ბევრს ვსვამდი, მაგრამ ეს არ არის სიმართლე. იყო შემთხვევები, რომ ღამის კლუბებში ვყოფილვარ, მატჩის წინა ღამესაც, მაგრამ არ ვსვამდი. ისე შემიძლია, რამდენიმე ბოკალი ღვინო შევსვა. მეტალისტში ამ მხრივ პრობლემა არ მქონია. უფრო გართობის მიზნით მაძლევდნენ შენიშვნებს.

– რომელ ქართულ ღვინოს მირჩევდით?

– ახალი წლისთვის მხოლოდ სახლში დაყენებულ ღვინოს ვყიდულობ. რეკლამას ვერავის გავუკეთებ.

– რა ბედი ეწია მერსედესს, რომელიც მაქსიმ შაკიხისგან შეიძინეთ?

– კანკავას მივყიდე. ეს 5 წლის წინ. მას შემდეგ 10-15 ავტომობილი გამოვიცვალე.

– უკრაინის მიმართ ნოსტალგია გაქვთ?

– ძალიან მენატრება. გული მწყდება, როდესაც ვხედავ, რა ხდება უკრაინაში. 9 წელი გავატარე და ბევრი მეგობარი შევიძინე. ვიმედოვნებ, მალე თქვენთან მშვიდობა იქნება.

– თქვენს კარიერას როგორ შეაჯამებდით? კმაყოფილი დარჩით?

– რა თქმა უნდა, არა. მადლობა ღმერთს, რომ რაღაც გავაკეთე. თუმცა, კმაყოფილი როგორ ვიქნები, როდესაც 16 წლის ასაკში ქართულ ფეხბურთში ყველაზე იმედისმომცემი ვიყავი. მაშინ ბელგიურმა სტანდარდმა წამიყვანა. იქ დამკვიდრება ტრავმებმა შემიშალა. უკრაინაში კი დამნაშავე მე ვარ – ფეხბურთს სათანადოდ არ ვუდგებოდი და ეს მხოლოდ ჩემი ბრალია. ჩემი პოტენციალის მხოლოდ 30% ვაჩვენე.

რუსთავის მოგებამ ბათუმს არგო

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

რუსთავი – ქუთაისი 71:63
(20:8; 11:17; 9:19; 31:19)

კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ სუპერლიგაში ფავორიტები არ არსებობენ. ყველა გუნდს აქვს შანსი, ნებისმიერი მეტოქე დაამარცხოს. ასე მოხდა მატჩში, რომელშიც ბოლოსწინა ადგილზე მყოფმა რუსთავმა ლიდერ ქუთაისს მოუგო. შეხვედრის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა.

პირველ ტაიმში რუსთაველები დალაგებული და გააზრებული თამაშის წყალობით დამაჯერებლად ლიდერობდნენ. კარგი დაცვის ხარჯზე ქვემოქართლელებს შეტევაში გზა ეხსნებოდათ და ქულას ქულაზე იხვეჭდნენ. პირველი მეოთხედი მიხეილ ბერუაშვილის გაწვრთნილმა რუსთაველებმა 20:8 მოიგეს. შემდეგ უკვე ქუთაისი ათამაშდა და დიდი შესვენებისთვის კი ქუთაისელებმა ჩამორჩენა 6 ქულამდე შეამცირეს – 25:31.

მესამე მეოთხედში ქუთაისელებმა რიჩარდ მათიაშვილის, გიორგი ბარბაქაძის და გოგა ცეკვავას შედეგიანობით ანგარიში გაათანაბრეს და დაწინაურდნენ კიდეც. მესამე პერიოდი კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისმა 19:9 მოიგო და ბოლო პერიოდს 4-ქულიანი უპირატესობით შეხვდა – 44:40.

ბოლო პერიოდში თანაბარი თამაში გაგრძელდა. სამარქაფო რევაზ ჩაჩანიძის შემწეობით რუსთაველებმა ანგარიში გაათანაბრეს, რის შემდეგაც მატჩის დასკვნით 8 წუთში ქულაქულაში თამაში წავიდა.

ყველაფერი ბოლო წუთზე გადაწყდა. კაილ ტურპინისა და ნიკოლა გაჩეშას ფარქვეშა აქტიურობას პერიმეტრიდან გიორგი გამყრელიძისა და მიხეილ ჭოჭუას შედეგიანი თამაში მოჰყვა და ბოლო წუთზე რუსთაველებმა თამაშის ბედი გადაწყვიტეს. საკვანძო გამოდგა ჭოჭუას სამქულიანი, რომლის შემდეგაც, თამაშის დასრულებამდე 37 წამით ადრე რუსთაველები 4 ქულით დაწინაურდნენ.

საბოლოოდ ქვემოქართლელებმა 71:63 იმარჯვეს და სეზონის მე-4 გამარჯვება მიითვალეს.

ბათუმი – ოლიმპი 87:84
(25:16; 23:25; 11:18; 28:25)

ამ გამარჯვებით ბათუმმა დაკარგული ქულებით ქუთაისს გადაასწრო. ზღვისპირელებმა ოლიმპი დაძაბულ ბრძოლაში – 87:84 დაამარცხეს.

ბათუმელებმა შეხვედრა წარმატებულად კი დაიწყეს და პირველ პერიოდში 23:9 დაწინაურდნენ, თუმცა ოლიმპელებმა მოახერხეს თამაშის გათანაბრება.

ყველაფერი ბოლო პერიოდში გადაწყდა, რომლის დაწყებამდეც ანგარიში თანაბარი იყო – 59:59. ბოლო წუთებში მასპინძლებმა მეტი მობილიზება გამოავლინეს და გასამარჯვებლად სამყოფ ლიდერობას დაეპატრონნენ. ბოლო წამზე რევაზ როგავას სამქულიანმა მიზანს ვერ მიაღწია და ოლიმპელთათვის ბრძოლაში დამარცხება დააფიქსირა – 84:87.

სატუნინიო ცხრილი:

1.ქუთაისი	11	7	4	825:785	18
2.ბათუმი	10	7		3767:719	17
3.სოხუმი	10	6		4767:696	16
4.ოლიმპი	10	5		5716:710	15
5.დინამო	9	5		4613:616	14
6.რუსთავი	10	4		6743:772	14
7.მგზავრები	9	4		5646:675	13
8.აკადემია	9	1		8625:729	10

შედეგები

15 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონშიპი

კარდიფი-ბრენტფორდი 3:2
ჩარლტონი-ბოლტონი 2:2
დერბი-ბრისტოლი 4:0
ფულემი-იფსვიჩი 1:2
ჰადერსფილდი-როტერჰემი 2:0
მიდლსბრო-ბარნლი 1:0
მილტონი-უენსდი 2:1
პრესტონი-ბირმინგემი 1:1
ქარ-ბრაიტონი 2:2

ესპანეთი. სამეფო თასი

დეპორტივო-ლიაგოსტერა 1:1
ხიხონი-ბეტისი 3:3
ესპანიოლი-ლევანტე 2:1
სევილია-ლოგრონიესი 2:0

გერმანია. თასი

გლადბახი-ვერდერი 3:4
უნტერხახინგი-ლევერკუზენი 1:3
აუე-ჰაიდენჰაიმი 0:2
ბაიერნი-დარმშტადი 1:0

იტალია. თასი

ჯენოა-ალესანდრია ..... 1:2(დდ)
ინტერი-კალიარი 3:0

საფრანგეთი. თასი

გენგამი-ნიცა ..... 2:2(4:3პ)
ლილი-ლავალი 1:0
ლორიანი-დიჟონი 3:0
რენი-ტულუზა 1:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამართალი

ე.წ. ნავთლულის სპეცოპერაციის საქმეზე პროცესი 27 იანვრისთვის გადაიდო

ე.წ. ნავთლულის სპეცოპერაციის საქმეზე პროცესი სააპელაციო სასამართლოში 27 იანვრისთვის გადაიდო. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე მზია ლომთათიძემ ბრალდებულ ბაჩო ახალაიას შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო, რომელმაც მოსამართლეს მიმართა შუამდგომლობით, რომ აღნიშნულ საქმეს მტკიცებულებად ევროპის წამების კომიტეტის დასკვნა დაედოს.

როგორც პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს საქმის პროკურორმა ამირან გულუაშვილმა განუცხადა, დაცვის მხარის მიერ პროცესის გადადების შუამდგომლობა მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება და ეს პროცესის გაჭიანურებაა. თუმცა ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილს არ ესმის რატომ მიაჩნია ბრალდების მხარეს, რომ მსჯავრდებულებს პროცესის გაჭიანურება სურთ.

საქმე ეხება ე.წ. ნავთლულის სპეცოპერაციის საქმეს, რომელიც პირველი ინსტანციის ნაწილობრივი გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ სააპელაციო სასამართლოში როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარეებმა გაასაჩივრეს.

ახალიას ამ საქმეზე ბრალი ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და წამებაში.

ინტერპრესნიუსი

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სექსობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ჩინური რესტორანი კლიენტებს სუფთა ჰაერში ფულს ახდევინებდა

ჩინეთის ცზიანსუს პროვინციის ქალაქ ჩჟანცზიაგანში მდებარე რესტორანი თავის კლიენტებს აიძულებდა, ფული იმ ჰაერისთვისაც გადაეხადათ, რომელსაც ისინი დაწესებულების კედლებში შეისუნთქავდნენ.

რესტორნის მფლობელებმა ჰაერის გასაფილტრი მოწყობილობები დააყენეს და მის ხარჯს ანგარიშს ამატებდნენ, რომელიც ერთ იუანსს (15-16 ცენტი) შეადგენდა და ამის თაობაზე კლიენტებს წინასწარ არ აფრთხილებდნენ.

რესტორნის ზოგიერთმა მომხმარებელმა ამის გამო უკმაყოფილება გამოთქვა, რის შემდეგაც რეგიონის ხელისუფლებამ აიძულა რესტორნის მესაკუთრეები, აღნიშნული გადასახადი გაეუქმებინათ. ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, მომსახურება საქონელივით არ უნდა იყიდებოდეს.

სოციალური ქსელების ბევრმა მომხმარებელმა დაწესებულების ინიციატივის მიმართ მხარდაჭერა გამოხატა.

– მე უარს არ ვიტყოდი ამ გადასახადის გადახდაზე, – დაწერა ერთ-ერთი ვებ-გვერდის მომხმარებელმა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში რეგიონის ქალაქებში ჰაერის დაბინძურების დონემ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. რის შედეგადაც ქუჩაში ხედვის არე 100 მეტრზე ნაკლებ მანძილს შეადგენს.

ავსტრალიაში იესო შავკანიანად წარმოადგინეს

ავსტრალიის ქალაქ მელბურნის გარეუბან პასკო ვეილში გამოჩნდა ახალშობილი შავკანიანი იესოს თოჯინა. თოჯინა წარმოადგენს ბიბლიური სცენის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ქრისტეს დაბადებას ასახავს და რომელიც დასახლების ცენტრშია განთავსებული.

ადგილობრივი პარლამენტის წევრის ლიზი ბლენდფორნის აზრით, შავკანიანი ახალშობილის გამოსახულება გაცილებით უკეთ ასახავს ისტორიულ სინამდვილეს.

– ყოველი ადამიანი ქრისტეს დაბადებას თავისებურად აღიქვამს. ეს მშვენიერი წარმოდგენა დადებითად აისახება საზეიმო განწყობაზე ჩვენს მულტიკულტურულ საზოგადოებაში, – განაცხადა ბლენდფორნმა.

იტალიური წარმოშობის მოქალაქე მარიამ, რომლის გვარი უცნობია, და კიდევ რამდენიმე მცხოვრებმა მიიჩნიეს, რომ ასეთ ინტერპრეტაციას არაფერი აქვს საერთო რეალობასთან. არქიეპისკოპოს გრეგ ბენეტის თქმით, იესო ებრაელი იყო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი გარეგნობა ახლოაღმოსავლურ ტიპაჟს შეესაბამება.

– თუმცა წმინდა ოჯახის გამოსახულება ხელოვნებაში რეგიონისა და კულტურული თავისებურებების შესაბამისად იცვლება, ამიტომ ამ ინტერპრეტაციასაც აქვს არსებობის უფლება. იესო ყველა ადამიანისთვის იშვა, მიუხედავად მათი ეროვნებისა, – განაცხადა ბენეტმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ᲝᲗᲐᲠ ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲐ

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი კომპოზიტორისა და მომღერლის ოთარ რამიშვილის სიმღერების ორიგინალური ჩანაწერები საჯაროა.

ხელოვანის შვილმა, მიშა რამიშვილმა გადაწყვეტილება მიიღო, მომღერლის სიმღერების ჩანაწერების ორიგინალები ეროვნულ არქივში შეინახოს. მან არქივს გადასცა გასული საუკუნის 70-90-იან წლებში 12 მაგნიტურ ფირზე ჩაწერილი 160-მდე სიმღერის ორიგინალი ჩანაწერი.

სიმღერებს შორისაა „ფუტკარი“, „თბილისო“, „ბულბულის სტვენა“, „მითხარ რად ხარ მოწყენილი“, „მარტის თვეა შენი“...

– სამომავლოდ ვაპირებ, მამაჩემის მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა მასალაც ეროვნულ არქივს გადავცე, აქ დოკუმენტებს სათანადო პირობებში ინახავენ და უვლიან, – განაცხადა მიშა რამიშვილმა.

კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის დირექტორის გიორგი კაკაბაძის თქმით, არქივი ის ადგილია, სადაც დოკუმენტების ორიგინალები ინახება და შინაარსთან ერთად, ოთარ რამიშვილის ოჯახის შემოტანილი მასალა ამ მხრივაც მნიშვნელოვანია.

თბილისის საპატიო მოქალაქის სიმღერის ჩანაწერები, მისი ოჯახის თანხმობით, ხელმისაწვდომი იქნება მკვლევართათვის.

უახლოეს მომავალში ამ სიმღერებიდან შერჩეული ორი კომპოზიცია არქივის ოფიციალურ არხზე გამოქვეყნდება პროექტის „33 1/3 ქართული ესტრადა“ ფარგლებში.

ოთარ რამიშვილი 4 წლის წინ 77 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲔᲕᲠᲝᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– რთული გადასაწყვეტი ნამდვილად იყო. საქართველოდან ყოველთვის ევროვიზიაზე იგზავნებიან ისეთი მომღერლები, რომლებსაც აქვთ თავისი ჟანრი. ალტერნატიული როკი არასდროს ყოფილა საქართველოდან ევროფესტივალზე და ამიტომ შევარჩიეთ წელს ისინი. ეს არის ერთგვარი ექსპერიმენტი, რომ მოისმინოს ევროპამ საქართველოდან ალტერნატიული მუსიკა.

ნიკა კოჩაროვი:

– ჩემი გადაკეთება არ გამოვა, რასაც ვაკეთებ, მარტო ის გამომდის კარგად. ეს არის ის გულწრფელი და ავთენტური პროდუქტი, რომელიც სწყურია მსოფლიოს. ევროვიზია შესაძლებლობაა საქართველოსთვის, შესთავაზოს მსოფლიოს ხარისხიანი მუსიკა, გააცნოს ალტერნატიული კულტურა საქართველოდან და ჩვენმა ჯგუფმა კი დაიმკვიდროს კუთვნილი სახელი მსოფლიო სცენაზე!

– ოდესმე გიფიქრიათ ევროვიზიაში მონაწილეობაზე?

– ცხოვრებაში ძალიან ბევრი რაღაც დამმართნია, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, ამ კონკურსზე თუ აღმოვჩნდებოდი. მოლაპარაკებების შემდეგ ვიფიქრე, რატომაც არა-მეთქი. ალბათ საინტერესო გამოწვევაა ჩემთვის. მართლა ისეთი რამეა ევროვიზია, რომ არასდროს მიფიქრია მასში მონაწილეობა. ჩვენი აზრით, კარგი მუსიკა გაგვაქვს ფესტივალზე და ეს ყველაზე მთავარია.

– სიმღერა, რომელიც შეიძლება ევროვიზიაზე გაიტანოთ, თქვენ მიერ უკვე დაწერილია?

– კი.

– შეგიძლიათ მისი სახელწოდება გვითხრათ?

– ჯერ შავი მონახაზი გვაქვს, ჩემს თავშია ვარაუდები, ამიტომ წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. ყველას შეუძლია დაწეროს სიმღერა ჩვენთვის, იმედია ისეთი სიმღერები იქნება, რომ ჩვენთვის შესაფერისი.

– როგორი არ უნდა იყოს სიმღერა, რომ თქვენ მის შესრულებაზე უარი არ თქვათ?

– არანაირი კრიტერიუმი არ არსებობს. მუსიკაში რომელ კრიტერიუმზე ვსაუბრობთ?! შეიძლება კარგი რომანსიც იყოს. თუ მოისმენთ ჩვენს მუსიკას, მიხვდებით, როგორი სიმღერა უნდა დაიწეროს.

ეკა ირემაშვილი

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲓᲐ

საქართველოსა და ალბანეთის თავდაცვის მინისტრებმა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

როგორც ალბანეთის თავდაცვის მინისტრმა მიმი კოდელმა აღნიშნა, საქართველო ალბანეთის მოკავშირეებისა და პარტნიორების ნუსხის სათავეშია და აღნიშნული მემორანდუმის ხელმოწერით ეს ურთიერთობა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე გადავიდა.

ორმხრივ შეხვედრაზე თინათინ ხიდაშელმა ალბანელ კოლეგას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

გადაწყდა, რომ ალბანეთი კიდევ უფრო აქტიურად გააგრძელებს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელებაში მონაწილეობას.

ალბანეთის თავდაცვის მინისტრმა მიმი კოდელმა ქართველ კოლეგას და ქართველ სამხედროებს საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ალბანეთი, ნატოს წევრი ქვეყანა, მხარს უჭერს საქართველოს ნატოში გაწევრიანების მისწრაფებას.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, თინათინ ხიდაშელმა და მიმი კოდელმა მედიის წარმომადგენლებისთვის პრესკონფერენცია გამართეს.

– თქვენ ჩვენი სრული მხარდაჭერა გაქვთ ამ გზაზე, – აღნიშნა ალბანეთის თავდაცვის მინისტრმა.

ნიუსპრესი

ᲐᲡᲢᲠᲝᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

17 დეკემბრისათვის

ᲕᲔᲠᲫᲘ – რომანტიკული გატაცება მალე დამთავრდება. ნერვებს გაუფრთხილდით. ყველა საქმე მშვიდად და აუჩქარებლად აკეთეთ. გელით კონფლიქტი ნათესავებთან და მეგობრებთან. **ᲙᲣᲠᲝ** – ოჯახურ ურთიერთობებს გაუფრთხილდით. ეცადეთ, კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. თავს ნუ გადაიტვირთავთ, აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ᲒᲧᲣᲞᲔᲑᲘ** – უფროსობასთან ძალზე დაძაბული ურთიერთობა გაქვთ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით დამთავრდება, თუმცა საამისოდ დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ** – საქმიანი კონტაქტები წარუმატებლად განვითარდება. თქვენი ყველა პრობლემა ფინანსურ დანაკარგებს უკავშირდება. მოსალოდნელია ცვლილებები კარიერაში, საზოგადოებრივ სფეროში. **ᲚᲝᲛᲘ** – ერიდეთ საქმის გარჩევებს ხელმძღვანელ პირებთან. კრიტიკული დღეა, ბევრი რამ იცვლება. თქვენს კეთილგონიერებაზე სამსახურებრივი წინსვლაა დამოკიდებული. **ᲥᲐᲚᲬᲘᲚᲘ** – პირად ცხოვრებაში პრობლემები გაგიჩნდებათ. ეს დღე ნეგატიური ტენდენციებით ხასიათდება. ნებისმიერი კომერციული აქტივობა ფინანსური კრახით დამთავრდება. **ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ** – ახლობელი ადამიანი გულს გატკენთ. კონფლიქტს ნუ გაამწვავებთ. ცდუნებას არ აჰყვეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. **ᲦᲠᲘᲐᲜᲥᲐᲚᲘ** – ოჯახში აზრთა სხვადასხვაობა იჩენს თავს. ეს დღე სირთულეებთან არის დაკავშირებული. მიზნის მისაღწევად დიდი შრომა გჭირდებათ. ჯანმრთელობისთვის სახიფათო პერიოდია. **ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – ეცადეთ, მხოლოდ დადებითი ემოციებით დაიმუხტოთ. თქვენი ენერგიულობა და შემოქმედებითი პოტენციალი ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **ᲗᲮᲘᲚ ᲠᲫᲐ** – შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. შესაფერისი დღეა ოჯახური დღესასწაულებისათვის, სტუმრების მისაღებად. **ᲛᲔᲠᲜᲧᲣᲚᲘ** – ქალაქგარეთ გასასვლელად კარგი პერიოდია. ყველაფერს ერთად ნუ გააკეთებთ. ენერგია დაზოგეთ. შორეული ნაცნობი საკმაოდ სასარგებლო რჩევას მოგცემთ. **ᲗᲔᲗᲖᲔᲑᲘ** – ძალიან წარმატებული დღეა. ნებისმიერი საქმე გამოგდით. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, ასევე მოგზაურობისა და მივლინებებისათვის.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ᲯᲘᲮᲡᲕᲝᲰᲘᲓᲘ Ა



შვეულად: 1. ბანგლადეშის დედაქალაქი; 2. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 3. ჰაერში ასაშვები ბავშვის სათამაშო; 5. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 6. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 9. საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა; 10. შამპანურის შემქმნელად მიჩნეული بენედიქტელი ბერი; 11. ძველებური, ცხენებშებმული, მრავალადგილიანი სამგზავრო-საფოსტო კარეტა; 14. ბრიტანელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. დამჟავებული ბოსტნეული; 18. ბოროტი, ღვარძლიანი, შურიანი ადამიანი.

თარაზულად: 1. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 4. გონებასუსტი ადამიანი; 7. საქართველოში გავრცელებული, წითელ წიგნში შეტანილი, ძალზე მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 8. უძველესი ქართული დამწერლობა; 12. ზარების დამრეკი, სანთლების ამნთები ეკლესიაში; 13. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 15. გაერთიანებული ერების საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 17. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 19. უძველესი ხელნაწერი; 20. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 21. მდინარე საქართველო–თურქეთის ტერიტორიაზე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰიდების პასუხები:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. ბონი; 2. „ოსუმი“; 3. ფრაზა; 5. ფოლადი; 6. სკვიმნია; 9. საკრამენტო; 10. „ლუფტჰანზა“; 11. კაპადოკია; 14. ცდო; 16. კათეტი; 18. კერი.

თარაზულად: 1. ბულონი; 4. რეფლექსი; 7. მუთაქა; 8. ზარნაშო; 12. აკაჟუ; 13. „აცტეკა“; 15. სტიქია; 17. მეი; 19. საკანდელიძე; 20. გორდა; 21. ჭიბონი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. „ვიში“; 2. ვერფი; 3. მთიები; 5. ლარგო; 6. ჩუქურთმა; 8. კოპაკაბანა; 10. მინერვა; 12. რეზიუმე; 14. მოსტრა; 15. ფესახი; 16. უნაბი.

თარაზულად: 1. ვლტავა; 4. ვლასიჩი; 7. პურადი; 9. „ბოჟოლე“; 11. ეპარქია; 12. რექვიემი; 13. დევიზი; 17. სკოპიე; 18. „ნანა“; 19. ამპლიტუდა; 20. საფიჩხია.

რას გვამცნობს სისხლის საერთო ანალიზი

სისხლის საერთო ანალიზი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა არამარტო სისხლის, არამედ ორგანიზმის სხვა სისტემებში მიმდინარე პათოლოგიურ პროცესებზე და მოიცავს შემდეგ პარამეტრებს: ლეიკოციტების რაოდენობას; ლეიკოციტური ფორმულას; ერითროციტების რაოდენობას; ერითროციტების დალექვის რეაქციას; თრომბოციტების რაოდენობას; ჰემოგლობინის შემცველობას; ფერადობის მაჩვენებელს; ჰემატოკრიტს.

ერითროციტების რაოდენობის მატება (პოლიციტემია) აღინიშნება შემდეგი მდგომარეობების დროს: ფილტვების, თირკმლების, გულის, ღვიძლის ქრონიკული დაავადებების, ზოგიერთი სახის სიმსივნეების, ძვლის ტვინის იშვიათი პათოლოგიების, ალკოჰოლიზმის დროს, თამბაქოს მოხმარების შედეგად;

დეჰიდრატაცია, დიარეა, ღებინება, ჭარბი ოფლიანობა, დამწვრობა, შარდმდენი საშუალებების გამოყენება. ამ მდგომარეობას ხშირად ცრუ პოლიციტემიის სახელით მოიხსენიებენ, რადგანაც სისხლში ერითროციტების რაოდენობის მატება მხოლოდ სითხის დაკარგვითა და პლაზმის მოცულობის შემცირებითაა განპირობებული, რეალურად სისხლის წითელი უჯრედების რაოდენობა ამ დროს უცვლელია

ერითროციტების რაოდენობის შემცირება (ანემია) ვითარდება ბევრი სხვადასხვა პათოლოგიების დროს, როგორიცაა სისხლდენა, მათ შორის ჭარბი მენსტრუალური სისხლდენა, თალასემია, ნამგლისებრუჯრედოვანი ანემია, ფოლიუმის მჟავის და ვიტამინ ბე 12-ს დეფიციტი

* * *

ერითროციტების დალექვის სიჩქარე (ედს): ამ მაჩვენებლის მომატება ირიბად მიუთითებს ორგანიზმში არსებულ ანთებით პროცესზე, ასევე აღინიშნება მიოკარდიუმის ინფარქტის, სხვადასხვა ტიპის ანემიების, თირკმლების პათოლოგიებისა და ორსულობის პერიოდში.

* * *

ჰემოგლობინის შემცველობის განსაზღვრა:

ჰემოგლობინის ერითროციტების ძირითადი ცილაა, რომელიც უზრუნველყოფს ჟანგბადის მიერთებას, შესაბამისად მისი შემცველობის დაქვეითება განაპირობებს ორგანოების ჟანგბადოვან შიმშილს.

ჰემოგლობინის შემცველობის შემცირება აღინიშნება სისხლდენის, სხვადასხვა ტიპის ანემიების, თირკმლებისა და ღვიძლის პათოლოგიების, სიმსივნეების დროს, ასევე ისეთი მდგომარეობების შემთხვევაში, როდესაც მიმდინარეობს ერითროციტების გაძლიერებული დაშლა, მაგალითად, თალასემია, პორფირია, ნამგლისებრუჯრედოვანი ანემია.

ჰემოგლობინის დონის მატება აღინიშნება ფილტვების ქრონიკულ ობსტრუქციული დაავადების, ემფიზემის, გულის უკმარისობის, თირკმლებისა და ღვიძლის სიმსივნეების, ჭეშმარიტი პოლიციტემიის დროს.

* * *

სისხლის ფერადობის მაჩვენებელი გვიჩვენებს ჰემოგლობინის დონის შეფარდებას ერითროციტების რაოდენობასთან და იცვლება სხვადასხვა ტიპის ანემიების დროს: იმატებს ბე12 და ფოლიუმ დეფიციტური, აპლასტიური და აუტოიმუნური ანემიების და მცირდება რკინადეფიციტური ანემიის დროს.

* * *

ლეიკოციტების რაოდენობის ცვლილებები

ლეიკოციტების რაოდენობის მომატების მიზეზი შეიძლება იყოს ინფექციური პროცესები, ქსოვილების დაზიანება (მაგ. გულის კუნთის), ძლიერი ემოციური და ფიზიკური სტრესი, დამწვრობა, თირკმლების უკმარისობა, ტუბერკულოზი, სიმსივნეები (ლეიკემია). ასევე ლეიკოციტების რაოდენობის მატება შეიძლება განაპირობოს მედიკამენტების გამოყენებამ (მაგ. კორტიკოსტეროიდები), თირკმელზედა და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებმა, ელენთის ამოკვეთამ.

რაც შეეხება ლეიკოციტების რაოდენობის შემცირებას, აღინიშნება თირკმლის უკმარისობის, რევმატოიდული ართრიტის, აპლასტიური ანემიის, ვირუსული ინფექციების, მალარიის, აივ ინფექციის, ალკოჰოლიზმის დროს. ასევე შეიძლება გამოიწვიოს ქიმიოთერაპიამ და სხვადასხვა მედიკამენტის მიღებამ.

მნიშვნელოვანია ასევე ლეიკოციტების ცალკეულის ტიპის რაოდენობრივი ცვლილებები. ლეიკოციტების ძირითად ტიპს წარმოადგენს ნეიტროფილები, ეოზინოფილები, ბაზოფილები, მონოციტები და ლიმფოციტები.

ნეიტროფილების მატება მიუთითებს ძირითადად ჩირქოვან ანთებით პროცესზე, ეოზინოფილების რაოდენობის მატება დამახასიათებელია ალერგიული რეაქციებისა და ჭიებით ინვაზიისათვის, რაც შეეხება მონოციტებსა და ლიმფოციტებს, ისინი იმუნური სისტემის ძირითადი უჯრედებია. ლიმფოციტების მატება აღინიშნება ვირუსული ინფექციებისა და აუტოიმუნური პათოლოგიების, ზოგიერთი ტიპის სიმსივნის დროს, ასევე ჰეპატიტების, მონონუკლეოზისა და კრონის დაავადების შემთხვევაში.

* * *

თრომბოციტების რაოდენობის ცვლილებები

თრომბოციტები სისხლის შედედებაზე არიან პასუხისმგებელნი, გარდა ამისა მონაწილეობენ ანთებით პროცესებში. მათი რაოდენობის მატება აღინიშნება სისხლდენის, რკინის დეფიციტის, სიმსივნეების, ძვლის ტვინის პათოლოგიების დროს, შემცირება დამახასიათებელია იდიოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურის, ორსულობისათვის, აუტოიმუნური დაავადებების, ჰემოლიზური ურემიული სინდრომისათვის, ზოგიერთი მედიკამენტისათვის.

* * *

ჰემატოკრიტის ცვლილება

ჰემატოკრიტი წარმოადგენს სისხლის უჯრედების შეფარდებას მის თხიერ ნაწილთან, პლაზმასთან. ჰემატოკრიტის შემცირება შეიძლება გამოიწვიოს სისხლდენამ, ან სისხლის უჯრედების წარმოქმნის დაქვეითებამ, რაც განპირობებულია, მაგალითად ძვლის ტვინის სიმსივნეებით. ჰემატოკრიტის მატების მიზეზებს შორის კი უნდა აღინიშნოს დეჰიდრატაცია, პოლიციტემია და ა.შ

სისხლის საერთო ანალიზის პასუხებში ცვლილებისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ასაკი, ორსულობა, სხვადასხვა მედიკამენტების მიღება.

ბავშვთა ასაკში განსხვავებულია სისხლის პარამეტრების ნორმები, ორსულობისას ფიზიოლოგიურად ხდება ერითროციტების რაოდენობის დაქვეითება და ლეიკოციტების მატება.

ზოგიერთი მედიკამენტი იწვევს სისხლის მხრივ ცვლილებებს, მაგალითად, თრომბოციტების რაოდენობის შემცირებას განაპირობებს თიაზიდური ტიპის შარდმდენები, სტეროიდები, ქიმიოთერაპიული პრეპარატები, ზოგიერთი ანტიბიოტიკი და სხვა.

TV პროგრამა

ხუთშაბათი 17 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" – **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30, 14.05** მხ/ფ "**მაკარტური**" (გ.პეკი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **20.30** "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **22.00** მხ/ფ "**კეთილი იყოს თქვენი მობრძანება**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**კოზირის ტუზები**" (რ.ლიოტა)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დოკ/ფ "პატარა მომთაბარე ტომები და პოლარული სიცივე" **13.00** დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**რჩეული**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პაპარაკალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** ერთხელ საქართველოში **00.30** მხ/ფ "**საუკეთესო რაც კი ჩემშია**" (ჯ.მერდსენი) **03.00** ერთხელ საქართველოში

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** პროფილი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

06.15 ჩვენი ფონდი "მიხეილ ქავთარია-ბესარიონ კათალიკოსი" **06.40** პატერიკი "ღირსი დედა მარიამ ეგვიპტელი" **06.50** დეკორატიული ფლორა "იასამანი" **07.05** ქართული ალბომი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**არსენას ლექსი**" 1 ნაწ. **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "მაგნოლია" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე (ნანა ჩაჩუა) **16.10** დ/ფ "სულიკო კოროშინაძე" **16.55** დიდ ხარ შენ უფალო-მოციქულები **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.20** დ/ფ "ბარბარობა" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **22.25** ერთსულოვანი ოჯახი-დემეტრაშვილები-უკრაინელი რძალი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.25** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "თრონი" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 1.30** სერ. "**ბატიანა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** "პულსი" **16.05** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **17.05, 2.15** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ნადირობა**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00** სერ. "**მუნოსავი-1**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

მწვანე ათთიაქი

რამდენიმე რჩევა სამკურნალო ბალახებისგან წამლების დამზადების წინ

ნუ გამოიყენებთ ბალახს, რომელიც რამდენიმე წელია გიდევთ!

ნუ შეურევთ ერთ ჭურჭელში ერთბაშად ბევრ ბალახს!

ნუ აადუღებთ ბალახს ალუმინის, სპილენძის, თუნუქის ჭურჭელში. ამისათვის გამოიყენეთ ქაშანურის ან მინის ჭურჭელი!

ნუ მოამზადებთ ერთბაშად დიდი რაოდენობით ნახარშს. გაიანგარიშეთ რამდენი დაგჭირდებათ დღე-ღამის განმავლობაში და იმ რაოდენობის წამალი მოიმზადეთ!

ნუ აადუღებთ ბალახს დიდხანს, ნაყენი გააციეთ და ისე გაწურეთ!

ნუ დალევთ ცივ ნაყენს. თბილი უფრო დიდ ეფექტს იძლევა!

ნაყენის მოსადუღებლად ბალახებს ადუღებული წყალი დაასხით და დააყენეთ მჭიდროდ დახურულ ჭურჭელში განსაზღვრული დროით!

ნაყენი სვით იმდენხანს, რამდენიც რეკომენდებულია. შეწყვეტის შემთხვევაში წამლის ეფექტი სრულიად იკარგება.

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ნინა ბერიძე, შვილები დავით და გია ოთარაშვილები, ძმა გიზო ოთარაშვილი, რძლები მაია იორამაშვილი, ეკა არჯევანიძე, შვილიშვილები დავით, ნინი, ანი ოთარაშვილები, ცოლისძმა გიორგი ბერიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რობიკო ოთარაშვილი

დაკრძალვა: 17 დეკემბერს, 14 საათზე.
მისამართი: ჭოპორტის ქუჩა №5 (სანზონა).

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ქვანიას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში უნიკალური ოპერაცია ჩატარდა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში ისრაელიდან მოწვეულმა პროფესორებმა ქართველ კოლეგებთან ერთად თორმეტგოჯა ნაწლავზე უნიკალური ოპერაცია გააკეთეს.

ოპერაცია შვიდი წლის ბავშვს ჩაუტარდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კლინიკის ქირურგიული სამსახურის უფროსმა ავთანდილ კუტუბიძემ განუცხადა, მოზარდს თორმეტგოჯა ნაწლავის თანდაყოლილი გაორება ჰქონდა. აღნიშნული სახის ოპერაცია საქართველოში პირველად განხორციელდა.

ოპერაცია ისრაელიდან მოწვეულმა პროფესორმა, ისრაელში ბავშვთა ქირურგიული სამსახურის ხელმძღვანელმა იცხაკ ვინოგრადმა, თელავივის შუბას აკადემიური კლინიკის პროფესორმა ოსნატ ზმურამ და თელავივის იხილოვის სახელობის კლინიკის პროფესორმა მიხეილ რაბაუმ მათთან ერთად განახორციელოს.

პოსტოპერაციულმა პერიოდმა წარმატებით ჩაიარა და მოზარდი თავს ჯანმრთელად გრძნობს.

როგორც კლინიკაში აცხადებენ, ოპერაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და საქართველოს პრეზიდენტს ფონდს შორის გაფორმებული მემორანდუმის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, რომელიც უცხოელი პროფესორების საქართველოში ჩამოყვანის ხარჯებს აფინანსებს.

ავთანდილ კუტუბიძის თქმით, ისრაელის კლინიკებიდან ცნობილი პროფესორები ჟვანიას სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში 2011 წლიდან ჩამოდიან და ატარებენ ოპერაციებს.

სულ მათ 10 ვიზიტი განახორციელეს, რომლის ფარგლებში ბავშვებში 50-ზე მეტი ურთულესი ოპერაცია შესრულდა.

ინტერპრესნიუსი

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. მარჯანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. სამეჯლისო ცეკვა; 3. ლომების ჯოგი; 5. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 6. ძვირფას ქვებზე მხატვრული კვეთის ხელოვნება; 8. პრაქტიკანტი ადვოკატი ბრიტანეთში; 10. რაიმეს შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 12. მდინარე ამსტერდამში; 14. იმრე კალმანის ოპერეტა; 15. გულდა კლაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 16. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

თარაზულად: 1. ოქროს წვრილი ჯაჭვი; 4. გარეული ცხოველის საჭერი მახე; 7. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. საფრანგეთის სამეფოს ტახტის მემკვიდრის ტიტული; 11. ძვირფასი ლითონი; 12. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 13. ძალზე მტკიცე მინერალი ძვირფასი ქვა; 17. სისხლის თხევადი ნაწილი; 18. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 20. უალკოჰოლო, გამაგრილებელი სასმელი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა



ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 დეკემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3940	ევრო — 2.6390
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6299	100 რუსული რუბლი — 3.4047

ამინდის პროგნოზი 17 დეკემბრისთვის

კალიფორნიკი
ბრაზიანმა კატამ ყავის მწარმოებელს უჩივლა

კატის აგენტებმა, რომელიც ინტერნეტში ბრაზიანი კატის სახელითაა ცნობილი, ყავის მწარმოებელი კალიფორნიული კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს. მათ მფლობელებს პოლ და ნიკ სენდფორდებს საავტორო უფლებების და კონტრაქტის პირობების დარღვევაში ედებათ ბრალი.

აგენტები ამტკიცებენ, რომ ამერიკული კომპანია ბრენდს და სახელებს GrumpyCat.com da DrinkGrumpyCat.com-ს შესაბამისი შეთანხმების გარეშე იყენებს. ასევე ფირმას ვალი დაუგროვდა ბრაზიანი კატის მიმართ, მისი გამოსახულებიანი მაისურების, სათამაშოებისა და კატის გამოსახულებიანი კალენდრის გაყიდვიდან მისაღები ჰონორარების სახით.

ამერიკულმა კომპანიამ ცხოველის გამოსახულებითა და სახელით სარგებლობის შეზღუდული უფლებები 2013 წელს მიიღო. მიმდინარე წელს კი კატის უფლებების დამცველმა სააგენტომ აღმოაჩინა, რომ კომპანია ისეთ ნაწარმსაც ყიდის ბრაზიანი კატის გამოსახულებით, რომელიც კონტრაქტის პირობებით გათვალისწინებული არ ყოფილა. ისინი რუმპყჩატ.ცომ-ს დაბრუნებას, ბუღალტრული მონაცემების შესწავლას და ზარალის ანაზღაურებას მოითხოვენ.

მალაიზიელი სამეფო ოჯახის შეურაცხყოფისთვის დააპატიმრეს

მალაიზიელი ფეისბუქში გამოქვეყნებული წერილისთვის დააპატიმრეს. მამაკაცმა, რომლის ვინაობა არ გაუმჟღავნებიათ, შტატის სულთან ჯოხორ იბრაჰიმ ისმაილის მიერ მიღებული იმ გადაწყვეტილების მიმართ გამოხატა უკმაყოფილება, რომლის თანახმადაც 2016 წლიდან ელექტოსიგარეტების გაყიდვა აიკრძალება.

დაკავების შემდეგ პოლიციელებმა 37 წლის მამაკაცის კიდევ ორი წერილი აღმოაჩინეს, რომლებიც, მათი მტკიცებით, შეურაცხმყოფელი იყო სამეფო ოჯახისთვის.

გამოძიების მსვლელობისას ეჭვმიტანილი დაკავებულია, ხოლო მისი მობილური ტელეფონი კონფისკაციას დაექვემდებარა. მამაკაცს 18 თვემდე პატიმრობა ან 460 დოლარის ოდენობის პატიმრობა ემუქრება ანტისახელმწიფოებრივი აგიტაციისთვის.

იტალიელმა 120 კილოიანი ლოქო დაიჭირა

იტალიელმა მეთევზემ იური გრისენდიმ მდინარე პოში უზარმაზარი ლოქო დაიჭირა. ის ქალაქ მანტუიას (ლომბარდიის ოლქი) მახლობლად თევზაობდა. თევზის წონამ 265 ინგლისური ფუნტი (დაახლოებით 120 კილოგრამი) შეადგინა.

38 წლის მამაკაცმა განაცხადა, რომ აქამდე არასოდეს შეხვედრია ასეთი გიგანტური თევზი.

– უკვე 20 წელზე მეტია ვთევზაობ, მაგრამ ასეთი ლოქო აქამდე არ მინახავს. ეს უპირობოდ ყველაზე დიდი თევზია მათ შორის, რომელიც კი დამიჭერია, – განაცხადა გრისენდიმ.

ლოქოს წყლიდან ამოსაყვანად გრისენდის ერთ საათზე მეტი დასჭირდა.

– საკმაოდ რთული იყო. დიდი ძალისხმევა და მოთმინება დამჭირდა, მაგრამ ეს ამად ღირდა, – დაამატა იტალიელმა მეთევზემ.

ჩვეულებრივ ლოქომ სიგრძეში შეიძლება ხუთ მეტრს მიაღწიოს, ხოლო ასეთი თევზის წონა 400 კილოგრამს შეადგენს. ლოქო მტაცებელი თევზების რიგს განეკუთვნება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველომ ევროვიზიის კონკურსანტი დაასახელა

ეკა ირემაშვილი

საქართველომ ევროვიზია 2016-ის ქართველი კონკურსანტი დაასახელა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ისევ გამოიყენა მისთვის მინიჭებული უფლება და 2016 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველოს კონკურსანტის ვინაობა ყოველგვარი შიდაშესარჩევი კონკურსის გარეშე დაასახელა.

საქართველოს სახელით ევროვიზია 2016-ში მონაწილეობას მიიღებენ ნიკა კოჩაროვი და ჯგუფი „იანგ ჯორჯიან ლოლიტაზ“. ალტერნატიულ როკჯგუფთან მოლაპარაკებები რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა.

კონკურსანტის დასახელების შემდეგ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სიმღერის კონკურსიც გამოაცხადა.

8 იანვრის ჩათვლით, ყველა კომპოზიტორს შესაძლებლობა ეძლევა სპეციალურად ევროვიზიის ქართველი კონკურსანტებისთვის შექმნას კომპოზიცია, მათი ჟანრის გათვალისწინებით, ალტერნატიული ინდი როკი ელექტრონული მუსიკის ელემენტებით. სიმღერის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს და სპეციალურად ამ კონკურსისთვის

უნდა იყოს დაწერილი. შემოსული განაცხადებიდან შეირჩევა 5 სიმღერა, მათ შორის საუკეთესოს კომპეტენტური ჟიური და მაყურებელი გამოავლენს.

ნათია უზნაძე, საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი:

– სხვა ქვეყნებს ჯერჯერობით არ აქვთ დასახელებული ის კონკურსანტები, ვინც წარადგენს მათ ევროვიზიაზე, მაგრამ ცნობილია რამდენიმე ქვეყანა, რომელმაც შიდაშესარჩევი კონკურსის გარეშე დაასახელა პირდაპირ მომღერალი და სიმღერაც. ჩვენ გამონაკლისი ვართ. ჩვენ დავასახელეთ მხოლოდ ჯგუფი და ვაცხადებთ სიმღერის კონკურსს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროვიზია არ არის მხოლოდ პირველი არხის პროექტი, ეს არის ქვეყნის პროექტი და თითოეული ადამიანის მხარდაჭერა ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

– რა პრინციპით შეარჩიეთ ნიკა კოჩაროვი და ეს ჯგუფი?

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ქართულმა ფილმმა ბოსფორის კინოფესტივალზე გაიმარჯვა

ბოსფორის საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართულმა ფილმმა გაიმარჯვა. ინფორმაცია საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა გაავრცელა:

– ქართული ფილმის წარმატება ბოსფორის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

გიორგი წილოსანის სადებიუტო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მზადება“ საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმის პრიზით დაჯილდოვდა. გიორგი წილოსანის ნამუშევარი 111 ქვეყნის 2621 აპლიკანტს შორის შეარჩიეს.

ეროვნული კინოცენტრი ულოცავს ქართველ რეჟისორს და მთელ შემოქმედებით ჯგუფს ამ წარმატებას.

ეკა ირემაშვილი

ანი ჯაჯანიძე საქართველოდან წავიდა

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოცეკვავე ანი ჯაჯანიძე საქართველოდან წავიდა. მან არჩევანი საბერძნეთზე გააკეთა და თავისი კარიერის გაგრძელებას სწორედ ამ ქვეყანაში აპირებს. მოცეკვავეს უკვე ჰყავს ახალი მეწყვილე და იაკობ ყუფუნიას ნაცვლად, ის ბერძენ მოცეკვავესთან ერთად გამოვა საერთაშორისო ტურნირებში.

მათ წყვილში ერთად ცეკვა უკვე სცადეს და უკრაინაში გამართულ მსოფლიო ღია ჩემპიონატში მე-18 ადგილი დაიკავეს. პირველი ცდისთვის ანი ამ შედეგით კმაყოფილი დარჩა.

მოცეკვავის განმარტებით, მან საქართველო დიდი იმედგაცრუებების შემდეგ დატოვა და ახლა გაკეთებული არჩევანით უზომოდ ბედნიერია. ანი აღიარებს, რომ შეყვარებულია, მაგრამ არა კონკრეტულ პიროვნებაზე, არამედ თავის საყვარელ საქმიანობაზე – ცეკვაზე.

პირველად მოცეკვავე საბერძნეთში ზაფხულში აღმოჩნდა და მას შემდეგ იქ დარჩენის და ცხოვრების გადაწყვეტილება მიიღო. მისი მიზანი ერთია – ივარჯიშოს, ტურნირებზე გამოვიდეს და წარმატებას მიაღწიოს.

ანი ჯაჯანიძე საქართველოში დაბრუნებას უახლოეს მომავალში არ აპირებს:

– მცირე ხნით შეიძლება, მაგრამ საქართველოში არ დავბრუნდები.

ეკა ირემაშვილი



იუმორი...

ქალი ქვედა სართულზე მცხოვრებ მამაკაცს ურეკავს და ეუბნება:

– საღამოს ჩემთან ამოდი, ჩემი ქმარი მიდის.

– კი მაგრამ, როგორ გავიგებ, რომ წავიდა?

– ეზოში ხურდა ფულს გადმოვაგდებ, მისი დაცემის ხმას რომ გაიგებ, ამოდი.

– კარგი.

საღამოს ქალმა ფული ეზოში გადააგდო და ელოდება. გავიდა ხუთი წუთი, ათი, თხუთმეტი, ოცი წუთი, მეზობელი არ ჩანს. ეზოში გადაიხედა და ხედავს, მამაკაცი ფანარით ხელში დადის და რაღაცას ეძებს.

– რას ეძებ? – ჩასძახა ქალმა.

– შენ რომ ფული გადმოაგდე, იმას.

– სულელო, ფული ძაფზე მქონდა გამობმული.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ დილით გასართობად განცხადება გავუშვი გაზეთში, რომ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე 12 საათზე სულელების შეკრება იყო დაგეგმილი.

– ალბათ არავინ მივიდა, ხო?

– პირიქით, მოედანი ხალხით გაივსო, ყველას სურდა სულელების ნახვა!

●●●

რუსი პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, ჩემთვის არაყის დალევა შეიძლება?

– შეიძლება.

– რა, ასე კარგადაა ჩემი საქმე?

– არა, ცუდად.

●●●

მამა-შვილი ტყეში წავიდნენ სასეირნოდ. მოშივდათ, ცეცხლი დაანთეს, ხორცი შეწვეს, ისადილეს. შვილი მამას ეუბნება:

– მამა, ტუალეტში მინდა.

– მიდი, შვილო, სადაც გაგიხარდება იქ მოისაქმე, ტყეში ვართ და სირცხვილი არაა.

შვილი წავა, უკან დაბრუნებულს მამა ეკითხება:

– აბა, როგორაა საქმე, სად მოისაქმე?

– შენ მანქანაში.

●●●

ავადმყოფთან სახლში გამოძახებული ექიმი პაციენტს ეკითხება:

– რას უჩივით?

– ინფორმაციის გაჟონვას.

– ეგ როგორ?

– თქვენზე ადრე დამკრძალავი ბიუროს აგენტი მოვიდა.

●●●

მამაკაცის ცხოვრების სამი სტადია:

1. სჯერა თოვლის პაპის არსებობის.
2. აღარ სჯერა თოვლის პაპის არსებობა.
3. თვითონ არის თოვლის პაპა.

●●●

სკოლიდან სახლში დაბრუნებული ბავშვი მამას ეუბნება:

– დღეს ხატვის გაკვეთილზე დედა დავხატე.

– კი მაგრამ, წინა გაკვეთილზეც დედა არ დახატე.

– ჰო, მაგრამ დღეს მასწავლებელი რომ შემოვიდა, ასე დაიყვირა: „ხატეთ, თქვენი დედა...“

მოამზადა კახა ხატიაშვილმა